პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 49-ე წელი ● № 282 (14278)

3 დეკემბერი, სამშაბათი
1968
ფასი 2 კაპ.

მთვარე და დედამიწა

სადგურ „ზონდ-6“-ის ობიექტივში

მთვარის უკანა მხარის აღმოსავლეთი სექტორი და ჩვენი პლანეტა, როგორც იგი ჩანს დაახლოებით 388 ათასი კილომეტრი მანძილიდან, აღბეჭდა ავტომატურ სადგურ „ზონდ-6“-ზე დადგმულმა ფოტოაპარატმა. „ზონდ-6“-მა პირველად ჩამოიტანა დედამიწაზე მთვარის ფოტოსურათები.

დაწვრილებითი ცნობები საბჭოთა მეცნიერების ბრწყინვალე ექსპერიმენტის შედეგებზე იხილეთ მე-[illegible] გვერდზე.



მთვარის კიდისა და პლანეტა დედამიწის ფოტოსურათი, გადაღებული ავტომატურ სადგურ „ზონდ-6“-ის მიერ, რომელიც იმყოფებოდა მთვარის კიდიდან 8,3 ათას კილომეტრ და პლანეტა დედამიწიდან დაახლოებით 388 ათას კილომეტრ მანძილზე. ფოტოზე ციფრებით აღნიშნულია: 1 — მთვარის კიდე; 2 — პლანეტა დედამიწა; კრატერები: 3. შტერნბერგი, 4 — ლორენცი; 5 — ლანჟევენი; 6 — რინინი, 7 — ბიუფონი.

ხუთწლედი — ვადამდე!

ჯილდო ბორჯომის რაიონის მეცხოველეებს

ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის აღსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებაში მიმდინარე წლის მესამე კვარტალში წარმატებას მიაღწიეს ბორჯომის რაიონის ფერმების მშრომელებმა. მათ მიენიჭათ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და რესპუბლიკის პროფსაბჭოს გარდამავალი წითელი დროშა (რაიონების პირველი ჯგუფი) სახელმწიფოსათვის მეცხოველეობის პროდუქტების მიყიდვის გეგმის შესრულებაში მოპოვებული საუკეთესო მაჩვენებლებისათვის.

ბორჯომელმა მეცხოველეებმა სახელმწიფოსათვის ხორცის მიყიდვის კვარტალური გეგმა შეასრულეს 215,7 პროცენტით, რძისა — 170,8 პროცენტით, მატყლისა — 171,2 პროცენტით. გაიზარდა კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ჯოგების სულადობაც. 1 ნოემბრისათვის გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის რაოდენობამ ამ რაიონში შეადგინა 100,5 პროცენტი, მათ შორის ძროხისამ — 101,5 პროცენტი. ღორის სულადობა გაიზარდა ორჯერ და მეტად, ცხვრისა და თხისა — 2,6 პროცენტით. შესაბამისად გადიდდა მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებაც. ახლა რაიონში აწარმოებენ ხორცს 11,7 პროცენტით, რძეს — 10,8 პროცენტით, მატყლს — 14,2 პროცენტით მეტს.

იბრძვიან რა მაჩვენებელთა რაოდენობრივი ზრდისათვის, ბორჯომელი მეცხოველეები არ ივიწყებენ არც პროდუქციის ხარისხს. უმაღლესი ნასუქობით ჩაბარებულია ხორცის 5 პროცენტი, საშუალო — 69 პროცენტი და 26 პროცენტი საშუალოზე ნაკლები.

მნიშვნელოვნად შემცირდა პირუტყვის სიკვდილიანობა.

რაიონების მეორე ჯგუფში გარდამავალი წითელი დროშა არავის არ მიენიჭება.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ და რესპუბლიკის პროფსაბჭომ აღნიშნეს **წითელწყაროს, გორის, ახალციხის, თეთრი წყაროს, მცხეთის, გურჯაანის, მაიაკოვსკის, მესტიისა** და **გულრიფშის** რაიონების მეცხოველეთა კარგი მუშაობა. (საქინფორმი).

ბოლნისელი მეთამბაქოეები მაგალითს უჩვენებენ

საქართველოს მეთამბაქოეთა შეჯიბრებაში დიდ წარმატებას მიაღწიეს ბოლნისის რაიონის სოფლის მშრომელებმა. მათ მოიწიეს თამბაქოს უხვი მოსავალი, ორგანიზებულად აიღეს იგი, დაამთავრეს მოსავლის შემდგომი დამუშავება და რესპუბლიკაში პირველებმა შეასრულეს სახელმწიფოსათვის თამბაქოს მიყიდვის წლიური გეგმა.

2 დეკემბრისათვის რაიონმა დაამზადა 641 ტონა თამბაქო გეგმით გათვალისწინებული 640 ტონის ნაცვლად.

შეჯიბრებაში განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი სოფელ ფახრალოს კოლმეურნეობა „გამარჯვების“ მეთამბაქოეებმა, რომლებმაც 1.680 ცენტნერი თამბაქოს ნედლეული დაამზადეს გეგმით გათვალისწინებული 1.500 ცენტნერის ნაცვლად, სოფელ სარაჩლოს რუსთაველის სახელობის კოლმეურნეობის მეთამბაქოეებმა, რომლებმაც გეგმით გათვალისწინებულზე 300 ცენტნერით მეტი თამბაქო დაამზადეს, სოფელ ქოჩულოს 26 კომისრის სახელობის კოლმეურნეობის მეთამბაქოეებმა, რომლებმაც დამზადების გეგმა 275 პროცენტით შეასრულეს და ბოლნისის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის მეთამბაქოეებმა, რომლებმაც ჩააბარეს 430 ცენტნერი თამბაქო — დავალებით გათვალისწინებულზე 28 ცენტნერით მეტი.

ბოლნისის რაიონის მეურნეობანი განაგრძობენ თამბაქოს ფოთლის შეტეხას. მათ გადაწყვიტეს სახელმწიფოს გეგმის გადამეტებით მიჰყიდონ 200 ტონა თამბაქო. (საქინფორმი).

გეგმა ვადამდე

კომბინირებული საკვების მრეწველობის მუშაკთა წარმატება

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პურპროდუქტებისა და კომბინირებული საკვების მრეწველობის სახელმწიფო კომიტეტის კომბინირებული საკვების მრეწველობის საწარმოთა კოლექტივებმა, რომლებმაც ფართოდ გააჩაღეს შეჯიბრება ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის, შრომით წარმატებას მიაღწიეს. 28 ნოემბრისათვის შესრულდა კომბინირებული საკვების წარმოების წლიური გეგმა. ასეთი საკვები გამოშვებულია 270.800 ტონა, წლიური გეგმის 100,3 პროცენტი.

გადაჭარბებით შესრულდა აგრეთვე სხვა სახეობის საკვების წარმოების წლიური დავალებანი. გეგმით გათვალისწინებული 55.000 ტონის ნაცვლად გამოშვებულია 55.853 ტონა საკვები ფრინველისათვის, ცხვრის საკვების წარმოების დავალება კი 182 ტონის გადაჭარბებით შესრულდა.

წელს თბილისის № 1 წისქვილკომბინატში დაიწყო გრანულირებული კომბინირებული საკვების წარმოება ფრინველისათვის. 28 ნოემბრისათვის გამოშვებულია 10 ათასი ტონა ეს საკვები.

რესპუბლიკის კომბინირებული საკვების მრეწველობის საწარმოთა მუშაკებმა ვალდებულება იკისრეს წლის დამლევამდე გეგმის გადამეტებით გამოუშვან 30 ათასი ტონა კომბინირებული საკვები. (საქინფორმი).

დროშა გადაეცათ

თბილისის მეტროპოლიტენის მოძრაობის სამსახურის კოლექტივს საზეიმო ვითარებაში გადაეცა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და რესპუბლიკის პროფსაბჭოს გარდამავალი წითელი დროშა, რომელიც მან მოიპოვა სოციალისტური შეჯიბრების 3 კვარტალის შედეგებისათვის.

განვლილ კვარტალში მოძრაობის სამსახურის მუშაკებმა საწარმოო გეგმა შეასრულეს 108,4 პროცენტით, ხოლო შრომის ნაყოფიერება გაზარდეს 13 პროცენტით გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით.

უნგრელი ხალხის მებრძოლი ავანგარდი

საზეიმო კრება თბილისში

◆

საქართველოს მშრომელებმა ყველა საბჭოთა ადამიანთან ერთად აღნიშნეს დიდმნიშვნელოვანი მოვლენა უნგრეთისა და საერთაშორისო მუშათა მოძრაობის ისტორიაში — უნგრეთის კომუნისტური პარტიის შექმნის 50 წლისთავი.

სახელოვანი იუბილეს აღსანიშნავად რესპუბლიკის დედაქალაქში 2 დეკემბერს გაიმართა საზოგადოებრიობის წარმომადგენელთა საზეიმო კრება, რომელიც მოიწვიეს თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომმა, საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საქართველოს საზოგადოებამ და საბჭოთა კავშირ-უნგრეთის მეგობრობის საზოგადოების საქართველოს განყოფილებამ.

კრება გახსნა საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის მდივანმა **შ. ყარყარაშვილმა**, რომელმაც აღნიშნა, რომ უნგრეთის კომუნისტური პარტიის დაუცხრომელმა მოღვაწეობამ გადამწყვეტი გავლენა მოახდინა უნგრელი ხალხის ისტორიულ ბედზე. აგრძელებს რა უნგრეთის კომუნისტური მოძრაობის რევოლუციურ ტრადიციებს, უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტია თავისი მებრძოლი შტაბის — უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით მიუძღვის უნგრელ მშრომელებს ახალი წარმატებებისაკენ სოციალისტურ მშენებლობაში.

მოხსენება უნგრეთის კომუნისტური პარტიის შექმნის 50 წლისთავის შესახებ გააკეთა საბჭოთა კავშირ-უნგრეთის მეგობრობის საზოგადოების საქართველოს განყოფილების გამგეობის თავმჯდომარის მოადგილემ, რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა **შ. ძიძიგურმა**. მან ილაპარაკა იმ დიდი გზის ეტაპებზე, რომელიც განვლო უნგრეთის კომუნისტურმა პარტიამ.

ქარხანა „ელექტროავტომატის“ მუშა **გ. წულაიამ**, ქალაქის მესამე საავადმყოფოს მთავარმა ექიმმა **ქ. ბორჯაძემ**, სსრ კავშირის დამსახურებულმა მწვრთნელმა **გ. შარაშიძემ**, უცხო ენათა პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტმა **ნ. ლომაძემ** მხურვალედ მიულოცეს უნგრელ კომუნისტებს, მთელ უნგრეთის ყველა მშრომელს მშობლიური პარტიის 50 წლისთავი.

საზეიმო კრების მონაწილეებმა მისალმება გაუგზავნეს უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალურ კომიტეტს.

ამავე დღეს გაიხსნა ფოტოგამოფენა „გმირული ბრძოლის 50 წელი“. (საქინფორმი).

ადამიანის შემოქმედების მოდელირება

2 დეკემბერს თბილისში მუშაობა დაიწყო IV სრულიად საკავშირო სიმპოზიუმმა კიბერნეტიკის საკითხებზე. სიმპოზიუმი მოიწვიეს სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან არსებულმა „კიბერნეტიკის“ კომპლექსური პრობლემის სამეცნიერო საბჭომ და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კიბერნეტიკის ინსტიტუტმა.

ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა სამეცნიერო-კვლევითი ცენტრიდან ჩამოსული ხუთასზე მეტი მეცნიერი მოისმენს 86 მოხსენებას, რომლებიც ეძღვნება ადამიანის მიერ ინფორმაციის გადამუშავების პრინციპებს, ტვინის მოდელირებისადმი ახალი მიდგომის გამოვლინებას.

ბულგარეთი და ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭო

სოფია, 2 დეკემბერი. (საქინფორმი). საქონელგაცვლის 70 პროცენტზე მეტს ბულგარელები აწარმოებენ ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრ ქვეყნებთან. ბულგარეთის საგარეო ვაჭრობის დაახლოებით 50 პროცენტი მოდის საბჭოთა კავშირზე. ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრი ქვეყნებიდან ბულგარეთს შემოაქვს გოგირდის, კალიუმიანი სასუქის, ქვანახშირისა და კოქსვადი ნახშირის მეტალურგიული კოქსის, სპილენძის, ალუმინის იმპორტის მთელი 100 პროცენტი, 95 პროცენტზე მეტი ნავთობი და თუჯი, 83 პროცენტამდე მერქანი, ქაღალდი, რკინის მადანი და ბამბა, 60 პროცენტამდე ცელულოზა და შავი ლითონების ნაგლინი.

ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს ხაზით ბულგარეთი სპეციალდება 240 სახეობის მანქანებისა და მოწყობილობის წარმოებაში. ბულგარეთში წარმოებული ელექტროკარებისა და ტვირთამწევების 95 პროცენტი სოციალისტურ ქვეყნებში იგზავნება.

უკანასკნელი 7 წლის განმავლობაში ბულგარეთმა უსასყიდლოდ მიიღო სოციალისტური სახელმწიფოებისაგან 4.100-მდე კომპლექტი მეცნიერული და ტექნიკური დოკუმენტაცია. 10 ათასზე მეტმა ბულგარელმა სპეციალისტმა აიმაღლა კვალიფიკაცია ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრ ქვეყნებში. სოციალისტური ქვეყნების დაახლოებით 1.000 სპეციალისტმა გაუწია ამ ხნის განმავლობაში მეცნიერული და ტექნიკური დახმარება ბულგარეთის საწარმოებს.

განსაკუთრებით ნაყოფიერად ვითარდება მეცნიერულ-ტექნიკური თანამშრომლობა სსრ კავშირთან. საბჭოთა კავშირზე მოდის მთელი მიღებული დოკუმენტაციის 76 პროცენტი. საზღვარგარეთ მივლინებულ ბულგარელ სპეციალისტთა 50 პროცენტი გაიგზავნა საბჭოთა კავშირში.

ტიტოს პრეს-კონფერენცია

ბელგრადი, 2 დეკემბერი. (საქინფორმი). იუგოსლავიის პრესამ გამოაქვეყნა იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის პრეზიდენტის ი. ბროზ-ტიტოს სიტყვა იუგოსლავი და უცხოელი ჟურნალისტებისათვის გამართულ პრეს-კონფერენციაზე ქალაქ იაიცეში, სადაც მიმდინარეობდა იუგოსლავიის ეროვნული დღესასწაულის — რესპუბლიკის დღისადმი მიძღვნილი ზეიმი.

კორესპონდენტთა შეკითხვებზე გაცემულ პასუხში ტიტომ ილაპარაკა იუგოსლავიის ურთიერთობაზე სხვა ქვეყნებთან.

შეკითხვაზე, თუ რა აზრის არის საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის შესახებ ჩეხოსლოვაკიის ამბების შემდეგ, ტიტომ უპასუხა ამჟამად სასურველი არ არის მდგომარეობის დრამატიზაცია. ჩვენ უნდა დავიწყოთ ნორმალიზაცია, რათა საერთაშორისო მუშათა მოძრაობაში დამყარდეს რაც შეიძლება საუკეთესო თანამშრომლობა.

ტიტომ გადაჭრით უარყო პროვოკაციული ხმები, რომლებსაც ნატოს წრეებიავრცელებენ, თითქოს საბჭოთა კავშირი აპირებდეს იუგოსლავიაზე თავდასხმას. ტიტომ განაცხადა, ამისათვის რაიმე მიზეზს ვერ ვხედავო.

შეეხო რა ახლო აღმოსავლეთის მდგომარეობას, ტიტომ სინანული გამოთქვა იმის გამო, რომ ეს პრობლემა დღემდე არ გადაჭრილა, რადგან ისრაელი კვლავ უგულებელყოფს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს ყველა გადაწყვეტილებას.

შეკითხვაზე საბჭოთა კავშირ-იუგოსლავიის ურთიერთობის პერსპექტივის შესახებ, ტიტომ განაცხადა, რომ საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელობისაგან მიიღო მისალოცი დეპეშები. ამ დეპეშებში, აღნიშნა მან, „ძალიან ზუსტად და მტკიცედ არის გამოთქმული მისწრაფება იუგოსლავიასთან განავითარონ კარგი ურთიერთობა“. ტიტომ დასძინა, მჯერა, რომ ეს მთელი საბჭოთა ხალხის მისწრაფებააო. „როგორც ჩანს, — თქვა მან შემდეგ, — შემდგომშიც იქნება იდეოლოგიური უთანხმოებანი, მაგრამ როგორც ისინი, ისე ჩვენ დაინტერესებული ვართ, რომ გვქონდეს კარგი ურთიერთობა, რადგან სოციალისტური ქვეყნები ვართ“.

ლენინი და ისტორიის მეცნიერება

მოსკოვი, 2 დეკემბერი. (საქინფორმის კორ). გამომცემლობა „ნაუკაში“ დღეს დასაბეჭდად ხელი მოაწერეს წიგნს „ვ. ი. ლენინი და ისტორიის მეცნიერება“. საბჭოთა ისტორიკოსების კოლექტიური შრომა ეძღვნება ბელადის დაბადების 100 წლისთავს.

თვალსაჩინო ისტორიკოსები — აკადემიკოსები პ. ნ. პოსპელოვი, ე. მ. ჟუკოვი, მ. ვ. ნეჩკინა და სხვები აშუქებენ ლენინის თეორიული მემკვიდრეობის უდიდეს როლს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ისტორიის, რუსეთის რევოლუციური მოძრაობის, თანამედროვე რევოლუციური პროცესის შესწავლაში. (საქინფორმის კორ).

ჩამოვიდა ავსტრიის კომპარტიის დელეგაცია

სკკპ ცენტრალური კომიტეტის მოწვევით 2 დეკემბერს მოსკოვში ჩამოვიდა ავსტრიის კომუნისტური პარტიის დელეგაცია, რომლის შემადგენლობაში არიან ავსტრიის კომპარტიის თავმჯდომარე **ფ. მური**, ავსტრიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, ცენტრალური კომიტეტის მდივანი **ფ. ფიურნბერგი** და ავსტრიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი **ა. რუჟიჩკა**. (საქინფორმი).

ელექტრონული მიკროსკოპის გამოყენების პერსპექტივები

2 დეკემბერს თბილისში მუშაობა დაიწყო სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიასთან არსებული ელექტრონული მიკროსკოპიის სამეცნიერო საბჭოსა და მისი საქართველოს სექციის გაერთიანებულმა სესიამ. ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა სამეცნიერო ცენტრის 100-ზე მეტი სპეციალისტი განიხილავს ელექტრონული მიკროსკოპის გამოყენებისა და შეცნიერების სხვადასხვა დარგში მისი გამოყენების პერსპექტივის საკითხებს.

დედამიწის ატმოსფეროს საიდუმლოება

თბილისში მუშაობა დაამთავრა სრულიად საკავშირო კონფერენციამ ატმოსფეროს ზოგადი ცირკულაციის საკითხებზე. კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობდნენ 350-ზე მეტი თვალსაჩინო საბჭოთა მეტეოროლოგი და უნგრეთიდან, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკიდან, მონღოლეთიდან, პოლონეთიდან და რუმინეთიდან ჩამოსული სტუმრები.

კონფერენციამ, რომელმაც ხუთ დღეს გასტანა, მოისმინა 60-მდე მოხსენება.

აჭარის ციტრუსოვანთა ბაღებში

სურათზე: ქობულეთის რაიონის სოფელ ქვემო ულიანოვკის მოწინავე კოლმეურნე ნ. ცინარიძე კრეფს მანდარინს.

ფოტო ვ. ბაგაიანისა.

აჭარას შემთხვევით როდი ეძახიან მარადიული გაზაფხულის კუთხეს. წელიწადის რომელი დროც არ უნდა იყოს, გარემო მუდამ მწვანე სამოსშია გახვეული. ვრცელი ჩაის პლანტაციები, ხავერდოვანი ნარინჯები, ცადაწვდილი, მუდამ მოშრიალე ევკალიპტები, ტანწერწეტა ფიჭვები თუ მაგნოლიები, თვით გადასარკული ზღვაცა და ზეცაც ლურჯად ლივლივებს...

ციტრუსები აჭარის სოფლის მეურნეობის ერთ-ერთი წამყვანი დარგია. ქობულეთისა და ბათუმის რაიონები ციტრუსებს ამზადებენ რესპუბლიკური გეგმის თითქმის 70 პროცენტს.

ისედაც მიმზიდველი აჭარის ზღვისპირეთი მით უფრო მომხიბვლელი ხდება, როცა ციტრუსების ბაღებს შემოდგომაზე ოქროს ლიმილი დააჩნდება და ჰაერი ნარინჯოვანთა საამო სურნელებით გაიჟღინთება.

აჭარის მშრომელები სამართლიანად ამაყობენ ციტრუსების ბარაქიანი ბაღებით. არის ხე, რომელიც ათასობით ცალ ნაყოფს ისხამს, ხოლო ზოგიერთ პლანტაციაში საშუალო მოსავლიანობა ჰექტარზე 15-20 ტონას აღწევს. მიუხედავად დიდი მოსავლისა, საქართველოს ციტრუსები ვერ აკმაყოფილებს ჩვენი ქვეყნის მთლიან მოთხოვნილებას. ამიტომ არის, რომ ყოველწლიურად სახავენ მოსავლიანობის გადიდების ღონისძიებებს.

თუ 1966-67 წლებში აჭარამ სამშობლოს მისცა 25 ათასი ტონა ციტრუსების ნაყოფი, ხუთწლედის ბოლოსათვის აჭარელმა მეციტრუსეებმა ვალდებულება იკისრეს საზოგადოებრივ მეურნეობებში მკვეთრად გაადიდონ ციტრუსოვანთა ნაყოფის წარმოება და მიიღონ 50.000 ტონამდე. მათ შორის ქობულეთის რაიონმა — 28.300 ტონა, ბათუმის რაიონმა — 21.700 ტონა.

მეურნეობათა უნარიანი გაძღოლა, სარეკორდო მოსავლის მოყვანა ახლა მასობრივი მოვლენა გახდა. მოვიყვან რამდენიმე მაგალითს. ქობულეთის რაიონის ჩაქვის ლენინის სახელობის საბჭოთა მეურნეობის მეციტრუსეობის ბრიგადას ხელმძღვანელობს გ. ტიკარაძე. აღნიშნული ბრიგადა ხუთ წელზე მეტია ერთ-ერთი პირველთაგანია აჭარაში. ბრიგადამ შარშან 27 ჰექტარი ბაღის თვითეულ ჰექტარზე მიიღო 19.630 კილოგრამი მანდარინი, თვითეულ ჰექტარზე მიღებულია 10.858 მანეთი შემოსავალი. ბრიგადის წევრებს დამატებითი ანაზღაურების სახით მიეცათ 31.600 მანეთი. ასეთი წარმატება განაპირობა შრომის კარგმა ორგანიზაციამ, პლანტაციების სრული აგროწესებით დამუშავებამ. აქ წელსაც უხვ მოსავალს იღებენ.

ქობულეთის რაიონის ციხისძირის საბჭოთა მეურნეობა წლების მანძილზე ვერ ასრულებდა სახელმწიფო გეგმებს. ცუდად უვლიდნენ ბაღებს, უთავბოლოდ ანიავებდნენ ნაყოფს. მას შემდეგ, რაც მეურნეობას სათავეში ჩაუდგა გამოცდილი ორგანიზატორი და საუკეთესო სპეციალისტი მ. მინაშვილი, მეურნეობა ერთ-ერთი მოწინავე გახდა საქართველოში. ციხისძირელები ზედიზედ დიდი გადაჭარბებით ასრულებენ გეგმებს და წელსაც ისახელებენ თავს.

ასეთივე წარმატებები აქვთ ბათუმის რაიონის მახინჯაურის, გონიოს, ახალშენის საბჭოთა მეურნეობებს, ხუცუბნის, ბობოყვათის, ჩაისუბნის, ახალშენისა და სხვა კოლმეურნეობებს.

მშრომელთა თავდადებამ, მათმა მაღალმა შეგნებულობამ განაპირობა გეგმების წარმატებით შესრულება.

25.000 ტონა ციტრუსოვანთა ნაყოფი სამშობლოს — ასეთია წელს აჭარელ მეციტრუსეთა საბრძოლო ამოცანა.

განვლილი წლების ამინდის მკაცრმა პირობებმა მნიშვნელოვნად დააზიანა ციტრუსოვანთა ბაღები. მაგრამ დაზიანებული ბაღების აღდგენამ, სიმჩხრის მოსპობამ და ახალი ბაღების გაშენებამ ყველა პირობა შექმნა დასახული გეგმების შესასრულებლად.

ამ დღეებში დიდი გამოცოცხლებაა ციტრუსოვანთა ბაღებში. გულის გასახარად არის დატვირთული ციხისძირის, ჩაქვის, მუხა-ესტატეს, კვირიკეს, მახინჯაურის, ახალშენის, მახვილაურის საბჭოთა მეურნეობების, ულიანოვკის, დაგვის, გონიოს, ბობოყვათისა და სხვა კოლმეურნეობათა ბაღები.

აჭარის სახელოვანი მეციტრუსეები უთუოდ შეასრულებენ ნაკისრ ვალდებულებებს და ახალი წარმატებებით გაახარებენ სამშობლოს.

მ. გორგილაძე,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

ემუქრება „დამოკლეს მახვილი“

დასავლეთი ბერლინი, 2 დეკემბერი. (საქინფორმი). გაზეთი „დი ვარჰაიტი“ დასავლეთ ბერლინის საწარმოების „აეგ-ტურბინესა“ და „ვოლტა-ვერკეს“ მნიშვნელოვანი ნაწილის დასავლეთ გერმანიაში გადატანის გეგმებს უწოდებს „დამოკლეს მახვილს“, რომელიც ამ ორი საწარმოს კოლექტივებს ემუქრება. ანალოგიურ მდგომარეობაშია ადგილობრივი მანქანათსაშენებელი ქარხანა „ბორზიგიც“.

სამრეწველო ფირმების განუწყვეტლივ გადატანა შვრეებს ნაპირებიდან მნიშვნელოვან სიძნელეებს უქმნის დასავლეთ ბერლინის ეკონომიკას. პრესის მონაცემებით, 1958-1967 წლებში დასავლეთი ბერლინი დატოვა 410 საწარმომ. ამ პერიოდში ქალაქში დაარსდა მხოლოდ 75 ახალი სამრეწველო ფირმა. 1964-1966 წლებში 16 ათასამდე კაცმა დაკარგა სამუშაო ადგილობრივი ფირმების დახურვის ან გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში გადატანის შედეგად.

დასავლეთ გერმანიაზე ცალმხრივი ეკონომიური ორიენტაციის კურსი, რომელსაც დასავლეთ ბერლინის სენატი ახორციელებს, საქალაქო მრეწველობას ასრულებინებს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მონოპოლიებისა და კონცერნებისათვის მიმწოდებლის როლს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მთვარე და დედამიწა სადგურ „ზონდ-6"-ის ობიექტივში

საბჭოთა ავტომატური სადგურის „ზონდ-6"-ის მეცნიერული კვლევის პროგრამა, როგორც ნათქვამი იყო საკდესის სტატიაში „საბჭოთა კოსმოსური პროგრამის მორიგი ეტაპი", ითვალისწინებდა მთვარის სურათის გადაღებას. ფრენის დროს მოეწყო აეროფოტოაპარატით სურათის გადაღების ორი სეანსი, როცა ფოკუსის მანძილი იყო 400 მილიმეტრი და კადრის ფორმატი 13X18 სანტიმეტრი.

პირველი სეანსის დროს, მთვარესთან მიფრენისას, დასახული იყო ამოცანა — მთვარის მთელი განათებული ზედაპირის სურათის გადაღება ფოტომეტრიულ მახასიათებელთა გაზომვისათვის, აგრეთვე მისი ზომებისა და ფორმის განსაზღვრისათვის.

მთვარეზე და ვარსკვლავზე ორიენტირების შემდეგ სადგური „ზონდ-6" ისე შემოტრიალდა, რომ აეროფოტოაპარატის ოპტიკური ღერძი მიმართული იყო მთვარის ცენტრისაკენ, დაახლოებით დედამიწიდან ხილულ და უხილავ ნაწილებს შორის საზღვარზე. აპარატის მდებარეობა ნაჩვენებია მთვარის შემოფრენის და სურათის გადაღების სქემაზე.

სურათის გადაღების მეორე სეანსი მოეწყო რაც შეიძლება დიდი მასშტაბის სურათების მისაღებად მთვარის უხილავი ნაწილის ფოტოგრამმეტრიულ გაზომვათა და კარტოგრაფირების მიზნით. ამასთან აეროფოტოაპარატის ოპტიკური ღერძი ისე იყო ორიენტირებული, რომ თვალთახედვის არეში მოქცეული იყო დედამიწაც (სქემა და სურათი 2. მე-2 სურათი იბეჭდება 1-ლ გვერდზე).

სურათი 1 გადაღებულია ფოტოგრაფირების პირველი სეანსის დაწყებისას 14 ნოემბერს 4 საათსა და 00 წუთზე მოსკოვის დროით დაახლოებით 11 ათასი კილომეტრი მანძილიდან. ამ სურათზე გამოსახულია სადგურის მიერ მთვარის სრული „ხილული" დისკო, რომელიც შემოფარგლულია დასავლეთის გრძედის 10 გრადუსის და 170 გრადუსი მერიდიანებით, ესე იგი მთვარის უკანა მხარის აღმოსავლეთი სექტორი და მთვარის ხილული მხარის დასავლეთი სექტორის ნაწილი. სურათის ჩრდილო-აღმოსავლეთი ნაწილი უჭირავს ქარიშხალთა ოკეანეს (1), რომლის ზედაპირზეა ღია ფერის ლაქები — კრატერები არისტარქე (2) და კეპლერი (3). მთვარის დისკოს აღმოსავლეთ საზღვარზე კარგად მოჩანს კრატერი კოპერნიკი (4). ქარიშხალთა ოკეანის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში ჩანს მრგვალი მუქი ლაქა — ერთ-ერთი ყველაზე დიდი ცირკი — გრიმალდი (5). მის ჩრდილო-დასავლეთით არის მომცრო ლაქა — ცირკი რიჩოლი (6). მთვარის სამხრეთ-აღმოსავლეთ კიდესთან მოჩანს მუქი სივრცე — ტენიანობის ზღვა (7), რომლის დასავლეთით არის ღია ფერის ლაქა განშლადი სხივებით — კრატერი ბიურგი (8). სურათის სამხრეთ ნაწილში მოჩანს დამახასიათებელი მოხაზულობის აღმოსავლეთის ზღვა (9), გაზაფხულის ზღვა (10) და შემოდგომის ზღვა (11), აგრეთვე მთის ქედები ხედები (12) და კორდილიერი (13), რომლებითაც შემოფარგლულია იგი ჩრდილო-აღმოსავლეთიდან და აღმოსავლეთიდან. სურათის ცენტრის მახლობლად მოჩანს მოკაშკაშე წერტილი — კრატერი ბიუფონი (14), რომლის ჩრდილო-დასავლეთით არის კრატერი შტერნბერგი (15) და მისგან ჩრდილო-აღმოსავლეთით და ჩრდილო-დასავლეთით მიმართული სხივები. მთვარის დისკოს დასავლეთ საზღვარზე ჩანს კრატერი კონდრატიუკი (16), სამხრეთ-აღმოსავლეთით არის კრატერი კიბალჩიჩი (17), რომლისგანაც აღმოსავლეთისაკენ მიდის პატარა კრატერების — რეაქტიული მოძრაობის შემსწავლელი ჯგუფისა და რეაქტიული სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის დამახასიათებელი ჯაჭვები. ასე ეწოდათ ამ კრატერებს პირველი ორგანიზაციების პატივსაცემად, რომლებიც რაკეტულ ტექნიკას ამუშავებდნენ სსრ კავშირში. შტერნბერგისა და კიბალჩიჩის კრატერებს შუა მოჩანს კრატერი ლანჟევენი (18). სურათზე გამოსახულია აგრეთვე მრავალი სხვა კრატერი.

მეორე სურათზე წარმოდგენილია მთვარის კიდის (1) გამოსახულება 8,8 ათასამდე კილომეტრი მანძილიდან და პლანეტა დედამიწისა (2) — დაახლოებით 388 ათასი კილომეტრი მანძილიდან, რომელიც მიღებულია 5 საათსა და 48 წუთზე მოსკოვის დროით. ამ სურათზე მკაფიოდ მოჩანს მთვარის უკანა მხარის აღმოსავლეთი სექტორი, რომელიც შემოფარგლულია დასავლეთის გრძედის 90 გრადუსიდან 130 გრადუსამდე მერიდიანებით. მთვარის ზედაპირის გამოსახულების ზემო ნაწილში ამ სურათზე კარგად მოჩანს კრატერი შტერნბერგი (3), რომლის დასავლეთით არის კრატერი ლორენცი (4), ხოლო სამხრეთ-დასავლეთით — კრატერი ლანჟევენი (5). სურათის ქვემო ნაწილში მოჩანს კრატერი რინინი (6). ეკვატორულ ნაწილში მთვარის დისკოს კიდეზე რინინის კრატერის აღმოსავლეთით მოჩანს კრატერი ბიუფონი (7). მთვარის დისკოს აღმოსავლეთი კიდის მხარეს მოჩანს ჩვენი პლანეტა — დედამიწა. სურათის გადაღების მომენტში დედამიწის ტერმინატორი (დღისა და ღამის საზღვარი) გადიოდა აღმოსავლეთის გრძედის 45 გრადუს მერიდიანზე. ჩვენი პლანეტის ზედაპირის დიდი ნაწილი დაფარულია ღრუბლებით. მხოლოდ სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში მოჩანს ავსტრალიის დასავლეთი სანაპირო აღმოსავლეთის გრძედის 120 გრადუსამდე.

მესამე სურათზე გამოსახულია ორმაგი კრატერის ძმები ვავილოვების გარშემო მთვარის ზედაპირის მონაკვეთი (1); კრატერის სიგანე დაახლოებით 100 კილომეტრია. გარკვევით მოჩანს კრატერის ციცაბო ფლატეები და მისი ფსკერის ტალღოვანი ზედაპირი. სურათის ზემო ნაწილში გამოსახულია კრატერი ლოველი (2), დასავლეთით — ეტვეში (3), ხოლო სამხრეთ-დასავლეთით —ვან გუ (4). კარგად ჩანს მრავალი სხვა კრატერი და დაახლოებით 200 მეტრისა და ნაკლები სიგანის უსწორმასწორობანი.

საბჭოთა მეცნიერებისა და ტექნიკის მიერ საპლანეტათშორისო ტრასებიდან ავტომატური სადგურების დედამიწაზე დაბრუნების ამოცანის წარმატებით გადაჭრის შემდეგ გაჩნდა შესაძლებლობა სავსებით გამოვიყენოთ ინფორმაციის დახსომებისა და შენახვის ერთ-ერთი საუკეთესო წესი — ფოტოგრაფიული წესი. ამ ფაქტის დიდი მნიშვნელობა ცხადია. საყოველთაოდ ცნობილია, რომ ფოტოგრაფიული გამოსახულება გადმოგვცემს მნიშვნელოვნად მეტ დეტალს, ვიდრე ფოტოსატელევიზიო გამოსახულება.

შავ და თეთრ ტონს შორის ინტერვალში სატელევიზიო სისტემები გადმოგვცემენ დაახლოებით 12 ტონის სხვადასხვა სიმკვრივეს (გრადაციებს). სურათზე შეიძლება გამოვიყენოთ ადამიანის თვალის ყველა შესაძლებლობა — დაახლოებით 60 გრადაცია, ხოლო ხელსაწყოების გამოყენებისას — დაახლოებით 100 და მეტი გრადაციაც. ფოტოსატელევიზიო სისტემა გადმოგვცემს 3-5 წყვილ შავ და თეთრ შტრიხს ერთი მილიმეტრი სიგანის მონაკვეთზე (გარჩევის უნარი — 3-5 ხაზი მილიმეტრზე). ფოტოგადამღებ სისტემას შეუძლია გადმოგვცეს 10-20-ჯერ მეტი. ამასთან მნიშვნელოვნად მცირდება გეომეტრიული დამახინჯებანიც.

„ზონდის" სერიის ავტომატური სადგურებიდან ფოტოგადაღება პრინციპულად არ განსხვავდება თვითმფრინავებიდან აეროფოტოგადაღებისაგან. ორივე შემთხვევაში ოპტიკური სისტემა „დაფოკუსებულია" უსასრულობაზე, გადაღება წარმოებს ავტომატური რეჟიმით. გადაღების სიჩქარის, მასშტაბისა და საკეტის დაყოვნების შეფარდება უმეტეს შემთხვევებში შესაძლებლობას გვაძლევს უგულებელვყოთ გამოსახულების ძვრა მოძრაობის დროს გადაღების ხარჯზე. სადგურის ხელსაწყოების ნაკვეთურში დაცულია გათვალისწინებული ტემპერატურა და წნევა. არ არის ვიბრაციები. ამ მხრივ გადაღების პირობები უკეთესია, ვიდრე თვითმფრინავში. ახალი ის არის, რომ ფოტოაპარატურა კოსმოსში უწონობის პირობებში მუშაობს.

თანამედროვე კარტოგრაფია ამოსავალ მასალად იყენებს ფოტოგრაფიულ ფირს. ამიტომ კოსმოსიდან დაბრუნებული სადგურებიდან გადაღებისას შეიძლება გამოვიყენოთ აეროფოტოგადაღების, ფოტოგრამმეტრიისა და კარტოგრაფიის კარგად შემუშავებული საშუალებებისა და მეთოდების მთელი არსენალი.

სადგურ „ზონდ-6"-ის ფრენის დროს მიღებული მთვარის ფოტოსურათები მნიშვნელოვან მასალას იძლევიან სხვადასხვა მეცნიერული კვლევისათვის. (საკდესი).



ფოტო 1. მთვარის ფოტოსურათი, გადაღებული ავტომატურ სადგურ „ზონდ-6-ის მიერ დაახლოებით 11 ათას კილომეტრ მანძილიდან.



ფოტო 3. მთვარის ზედაპირის ფოტოსურათი, გადაღებული ავტომატურ სადგურ „ზონდ-6"-ის მიერ.



ავტომატურ სადგურ „ზონდ-6"-ის მიერ მთვარის გარშემოფრენისა და ფოტოგრაფირების სქემა. სქემაზე აღნიშნულია: 1 — ფოტოგრაფირების I სეანსის დასაწყისი; 2 — ფოტოგრაფირების II სეანსის დასაწყისი.

დიდი ინტერესი

პარიზი, 2 დეკემბერი. (საკდესი). პარიზის გაზეთები დღეს დიდ ყურადღებას უთმობენ საბჭოთა კოსმოსური სადგურის „ზონდ-6"-ის ფრენის დროს გადაღებულ მთვარის ახალ სურათებს, რომლებიც გაზეთ „პრავდაში" გამოქვეყნდა.

საქმე ეხება მთვარის საუკეთესო გამოსახულებებს, რომლებიც ოდესმე მიგვიღია მას შემდეგ, რაც 1959 წელს გაუშვეს პირველი მთვარის აპარატი", — წერს გაზეთი „ლუმანიტე". გაზეთი აღნიშნავს, რომ გადაღებული ფოტოფირი პირველად იქნა ჩამოტანილი დედამიწაზე.

ახალი სურათების ხარისხი, წერს გაზეთი „პარი-ჟური", გაცილებით უფრო მაღალია, ვიდრე ყველა წინანდელი ფოტოსურათის ხარისხი, რადგან ისინი გადაიღეს ჩვეულებრივი ფოტოაპარატით და არ გადაუციათ, როგორც ეს წინათ იყო, ტელევიზიით.

კომპარტიის რიგები იზრდება

პარიზი, 2 დეკემბერი. (საკდესი). მიმდინარე წლის თერთმეტი თვის მანძილზე 55 ათასამდე კაცი შევიდა საფრანგეთის კომუნისტური პარტიის რიგებში. ეს განაცხადა საფრანგეთის კომპარტიის პოლიტბიუროს წევრმა ჟორჟ მარშემ საფრანგეთის კომპარტიის ფედერალურ ორგანიზაციათა მდივნების თათბირზე.

ამ ბოლო ოცი წლის მანძილზე, თქვა მომხსენებელმა, ეს არის პარტიული რიგების ყოველწლიური ზრდის უმაღლესი მაჩვენებელი. საფრანგეთის კომუნისტური პარტიის 96 ფედერაციიდან 84-მა გაზარდა თავისი წევრების რიცხვი. წელს მთელ საფრანგეთში შეიქმნა 1.020 ახალი პირველადი პარტიული ორგანიზაცია, ამასთან 475 ორგანიზაცია შეიქმნა საწარმოებში.

ფედერალური მდივნების თათბირის მუშაობაში მონაწილეობდნენ საფრანგეთის კომპარტიის გენერალური მდივანი ვალდეკ როშე, საფრანგეთის კომპარტიის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი ანდრე ვიეგე, საფრანგეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრები ჟორჟ გოსნა, ფერნან კლავო და მარსელ ზედნერი.

უქმნიან დაბრკოლებებს

ჰანოი, 2 დეკემბერი. (საკდესი). „თუ ამერიკის მხარეს სერიოზულად სურს სამხრეთ ვიეტნამის საკითხის პოლიტიკური მოწესრიგება, მან უშუალო მოლაპარაკება უნდა აწარმოოს განთავისუფლების ეროვნულ ფრონტთან, 14-მილიონიანი სამხრეთ ვიეტნამელი ხალხის ნამდვილ წარმომადგენელთან, რომელიც კომპეტენტურია და მოიპოვება რეალური ძალა, რათა მოაწესრიგოს სამხრეთ ვიეტნამის ყველა საკითხი", — ნათქვამია კომენტარში, რომელიც გამოაქვეყნა განთავისუფლების სააგენტომ, სამხრეთ ვიეტნამის განთავისუფლების ეროვნული ფრონტის ოფიციალურმა ორგანომ.

კომენტარში აღნიშნულია, რომ განთავისუფლების ეროვნული ფრონტის დროშით სამხრეთ ვიეტნამის მოსახლეობა დაირაზმა ეროვნულ ბლოკად, რათა წინააღუდგეს ამერიკელ აგრესორებს და იხსნას ქვეყანა. „მართვის რევოლუციური ორგანოების თავისუფალი არჩევნები ყველა საფეხურზე ბევრ ვრცელ განთავისუფლებულ რაიონში, უდავოა, ადასტურებს ფრონტის როლს როგორც დე ფაქტო მთავრობისას, რომელიც ხალხმა აირჩია, მხარს უჭერს და იცავს".

ვიეტნამის საინფორმაციო სააგენტოს მიერ გამოქვეყნებული კომენტარის დასასრულს ნათქვამია: „იბღაუჭებიან თხიეუ-კი-ხოონგის ხროვას და არ სურთ რა ცნონ განთავისუფლების ეროვნული ფრონტის როლი და მდგომარეობა, ამერიკელი ხელისუფალნი თვითონ ცხადყოფენ საერთაშორისო საზოგადოებრიობის თვალში თავიანთ სიყალბეს. ეს მხოლოდ იმას მოწმობს, რომ ისინი განზრახ უქმნიან დაბრკოლებებს პარიზის ოთხმხრივი თათბირის მოწყობას".

„ქორის" ხმა

ვაშინგტონი, 2 დეკემბერი. (საკდესი). სენატის სამხედრო მზადყოფნის საკითხთა ქვეკომისიის თავმჯდომარემ ჯონ სტენისმა გუშინ სატელევიზიო პროგრამით „პრობლემები და პასუხები" გამოსვლისას მოითხოვა, რომ ამერიკის მთავრობამ განაახლოს ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის ტერიტორიის დაბომბვა იმ შემთხვევაში, თუ მომავალ მოლაპარაკებაზე პარიზში „ვერ მიაღწევენ პროგრესს".

ამერიკელი სენატორის მოწოდება იყო აშკარა ცდა უხეში ზეგავლენა მოეხდინა ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკისა და სამხრეთ ვიეტნამის განთავისუფლების ეროვნული ფრონტის წარმომადგენლებზე ჯერ კიდევ მანამდე, სანამ დაიწყებოდა პარიზის მოლაპარაკება. სენატორი სტენისი ვაშინგტონის ერთ-ერთი ყველაზე აგრესიულად განწყობილი „ქორია", რომელსაც ჯერ კიდევ არ უთქვამს უარი იმ გეგმებზე, რომ ძალით მოახვიოს თავს ვიეტნამის პრობლემის გადაჭრა.

შემდეგ სტენისმა, უპასუხა რა კორესპონდენტთა კითხვებზე, მოითხოვა, რომ „ვიეტნამში მოწესრიგების შემდეგ" ამერიკის შეერთებულმა შტატებმა შეინარჩუნოს თავისი შეიარაღებული ძალები სამხრეთ ვიეტნამში იმის მსგავსად, როგორც „ეს მოხდა სამხრეთ კორეაში".

ახალი აგრესიული აქტები

ამანი, 2 დეკემბერი. (საკდესი). ისრაელის მხედრიონი კვლავ არღვევს შეთანხმებას ცეცხლის შეწყვეტის შესახებ, ალვივებს დაძაბულობას ახლო და შუა აღმოსავლეთის რაიონში. გუშინ საღამოს ისრაელის არტილერიამ ცეცხლი დაუშინა იორდანიის ჯარების პოზიციებს, ნათქვამია იორდანიის შეიარაღებული ძალების კომუნიკეში, რომელიც მენის სააგენტომ გაავრცელა. იორდანიის ჯარებმა ცეცხლითვე უპასუხეს. საარტილერიო დუელმა თითქმის ორ საათს გასტანა.

ცეცხლი დაუშინეს აგრეთვე იორდანიის ქალაქ ირბიდს. არის მსხვერპლი სამოქალაქო მოსახლეობაში.

როგორც იორდანიის სამხედრო წარმომადგენელმა განაცხადა, წუხელვე ისრაელის ავიაცია თავს დაესხა იორდანიის ტერიტორიას.

იარინგის მისია განახლდა

კაირო, 1 დეკემბერი. (საკდესი). გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სახელმწიფო მდივნის სპეციალური წარმომადგენელი ახლო აღმოსავლეთში გუნარ იარინგი 4 დეკემბერს ჩამოვა კაიროში, სადაც შეხვდება არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრს მაჰმუდ რიადს.

როგორც გაზეთი „ჟურნალ დ' ეჟიპტი" იუწყება, ამ ვიზიტით დაიწყება ახალი სერია გუნარ იარინგის კონსულტაციებისა ეგვიპტის ოფიციალურ პირებთან ახლო აღმოსავლეთში შექმნილი მდგომარეობის საკითხზე.

არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის შემდეგ იარინგი გადაფრინდება იორდანიაში იორდანიის ოფიციალურ პირებთან მოსალაპარაკებლად.

უნდა აღინიშნოს, რომ ეს იქნება იარინგის პირველი ვიზიტები არაბთა გაერთიანებულ რესპუბლიკასა და იორდანიაში მისი ნიუ-იორკში ყოფნის შემდეგ, სადაც მოლაპარაკებას აწარმოებდა არაბული ქვეყნებისა და ისრაელის წარმომადგენლებთან, რომლებიც მონაწილეობას იღებდნენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის 23-ე სესიის მუშაობაში, და ცდილობდა მშვიდობიანად მოეგვარებინა ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტი უშიშროების საბჭოს 1967 წლის 22 ნოემბრის რეზოლუციის განხორციელების საფუძველზე.

როგორც ცნობილია, კრიზისის პოლიტიკური მოგვარება წააწყდა სიძნელეებს, რადგან ისრაელს არამცდაარამც არ სურს შეასრულოს უშიშროების საბჭოს რეზოლუცია, რომელიც ითვალისწინებს ისრაელის ჯარების გაყვანას მათ მიერ ოკუპირებული არაბული ტერიტორიებიდან.

სურათზე: მედლის წინა და უკანა მხარე. (საკდესი).

ხელყოფენ ლაოსის სუვერენიტეტს

ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადება

ჰანოი, 2 დეკემბერი. (საკდესი). აქ გამოქვეყნდა ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადება. განცხადებაში დაგმობილია ამერიკელ იმპერიალისტთა მოქმედება, რომლებიც ბოლო დროს ცდილობენ გააძლიერონ ლაოსის დაბომბვა და შხამქიმიკატების გამოყენება. მიმდინარე წლის ნოემბრის დამდეგიდან, ნათქვამია განცხადებაში, ამერიკის რეაქციული ავიაგამანადგურებელ-ბომბდამშენები და თვითმფრინავები „ბ-52" ასობით გაფრენას ახდენენ რაიონებში, რომლებიც ლაოსის პატრიოტული ფრონტის კონტროლს ექვემდებარება. ყრიან ბომბებს და ყუმბარებს უშენენ მჭიდროდ დასახლებულ სოფლებსა და ქალაქებს. ამერიკელებს არაერთხელ მოუსხურებიათ აგრეთვე შხამქიმიკატები მთელ რიგ დასახლებულ პუნქტებში, რის შედეგად დაზარალდა მრავალი ადამიანი და დიდი ზიანი მიაყენეს ნათესებს.

„ეს უაღრესად სასტიკი ნაბიჯი ომის ესკალაციაში ამერიკელმა იმპერიალისტებმა გადადგეს იმ მიზნით, რომ აინაზღაურონ მარცხი ლაოსსა და ვიეტნამში. ეს არის ლაოსის სუვერენიტეტის, დამოუკიდებლობისა და ნეიტრალიტეტის უხეში ხელყოფა და მეტად სერიოზული დარღვევაა ჟენევის 1962 წლის შეთანხმებებისა ლაოსის შესახებ, მაშინ როცა შეერთებულმა შტატებმა ვალდებულება იკისრეს შეასრულონ ეს შეთანხმებანი, — ხაზგასმულია განცხადებაში.

განცხადებაში აღნიშნულია, რომ ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა სავსებით უჭერს მხარს ლაოსის პატრიოტული ფრონტის პოლიტიკურ პროგრამას და მიაჩნია, რომ იგი სწორი საფუძველია ლაოსის საკითხის მოწესრიგებისათვის.

გაზეთები წერენ

ვიეტნამის თემას თვალსაჩინო ადგილი უკავია საზღვარგარეთის გაზეთების ფურცლებზე. საფრანგეთის გაზეთები წერენ, რომ ამ რაიონში ინტერვენტებს დიდი ზარალი მოსდით. „ნიუ იორკ ტაიმსი" იუწყება, რომ ამერიკის ავიაციამ გააძლიერა თავდასხმა ლაოსის განთავისუფლებულ რაიონებზე. გაზეთის სიტყვით, ამ თავდასხმებში ყოველდღე მონაწილეობს 400 თვითმფრინავი. (საკდესი).

კალაგენის განცხადება

ლონდონი, 2 დეკემბერი. (საკდესი). ინგლისის შინაგან საქმეთა მინისტრმა ჯეიმს კალაგენმა გააფრთხილა ინგლისელები, რომ მძიმე წლები მოელით ქვეყნის ცუდი ეკონომიური მდგომარეობის გამო. რატენგლენში (ლანკაშირი) გამოსვლისას კალაგენმა განაცხადა, რომ „არავის არ შეუძლია თქვას, რამდენი დრო დასჭირდება ინგლისის ეკონომიკის მოწესრიგებას", ამასთან უარყო ფინანსთა მინისტრის ჯენკინსის წინანდელი დაპირებანი, თითქოს მხოლოდ ორი წელი დასჭირდება ქვეყნის ეკონომიკის მოგვარებას.

მხოლოდ ფაქტები

● ბელგრადი, 2 დეკემბერი. (საკდესი). როგორც ტანიუგის სააგენტო იუწყება, დღეს ბელგრადში მ. ტოდოროვიჩის თავმჯდომარეობით მუშაობა დაიწყო იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის ცენტრალური კომიტეტის მორიგმა პლენუმმა.

პლენუმი განიხილავს იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის ამოცანებს თვითმმართველობის საზოგადოებრივ-ეკონომიური ურთიერთობის შემდგომი განვითარების საქმეში, იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის წესდების პროექტს, იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის IX ყრილობის მოწვევის თარიღის, მოწვევის ადგილისა და დღის წესრიგის შესახებ დადგენილების პროექტს და სხვა საკითხებს.

პლენუმზე მოხსენება გააკეთა ე. ქარდელმა.

● სოფია. (საკდესი). ბულგარეთის ქალაქ ველინგრადში საზეიმო ვითარებაში გაიხსნა ბულგარეთში უდიდესი ყვავილების თანამედროვე საორანჟერეო კომპლექსი. აქედან ყვავილებს გაგზავნიან საბჭოთა კავშირში, გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში, ჩეხოსლოვაკიაში, პოლანდიაში, შვეციაში, ლიბიაში, სინგაპურსა და სხვა სახელმწიფოებში.

ველინგრადელმა მეყვავილეებმა საერთაშორისო აღიარება მოიპოვეს: მათმა ყვავილებმა დაიმსახურა სამოცზე მეტი ოქროსა და ვერცხლის მედალი საზღვარგარეთის გამოფენებზე.

● ქალაქ ნოვა-გუტაში, რომელიც გაისად აღნიშნავს თავის ოცი წლისთავს, უკვე დაიწყო იუბილესათვის მზადება. ასეთივე იუბილეს იზეიმებს ერთ-ერთი უდიდესი სამრეწველო საწარმო — ვ. ი. ლენინის სახელობის მეტალურგიული კომბინატი პოლონეთის მეტალურგიის ეს გიგანტი შენდებოდა საბჭოთა კავშირის ტექნიკური დახმარებით.

საიუბილეო დღესასწაულობათა დროს ქალაქ ნოვა-გუტაში საძირკველი ჩაეყრება ვ. ი. ლენინის ძეგლს. ნავარაუდევია მთელი რიგი კულტურული მეცნიერული და სპორტული ხასიათის ღონისძიებანი. (საკდესი).

მშვიდობის მებრძოლთა კონფერენცია

მონრეალი, 1 დეკემბერი. (საკდესი). გუშინ გაიმართა დილის სხდომა დასავლეთის ნახევარსფეროს ქვეყნების კონფერენციისა ვიეტნამში ომის შეწყვეტისათვის. იგი მიეძღვნა ვიეტნამელი ხალხის წარმომადგენლებთან შეხვედრას. კონფერენციის მონაწილეებმა დიდი ყურადღებით და ინტერესით მოისმინეს სამხრეთ ვიეტნამის განთავისუფლების ეროვნული ფრონტის წარმომადგენლის ჰოანგ ბიჩ სონის გამოსვლა.

განთავისუფლების ეროვნული ფრონტის წარმომადგენელმა ტაშის გრიალში კონფერენციას მიუძღვნა ვაზა, გაკეთებული ამერიკული ბომბისაგან, რომელიც აგრესორებმა ჩამოაგდეს განთავისუფლებულ რაიონებში. ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის კულტურის მინისტრმა ჰოანგ მინ ზიამმა კონფერენციის მონაწილეებს მიუძღვნა მოდელი იალქნიანი ხომალდისა, რომელიც გაკეთებულია ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის ტერიტორიაზე ჩამოგდებული ამერიკული თვითმფრინავის ნამტვრევებისაგან.

ნაშუადღევს გაიმართა სამუშაო კომიტეტის სხდომები. დელეგატები იხილავდნენ ვიეტნამის ომის სხვადასხვა ასპექტს მშვიდობის ძალებისა და ვიეტნამელი ხალხისადმი სოლიდარობის მოძრაობის შეკავშირებისა და ამერიკის დანაშაულებრივი ომის წინააღმდეგ ბრძოლის გზებს, ამ ომის რაც შეიძლება მალე შეწყვეტისათვის ბრძოლის გზებს.

ი. ა. გაგარინის სახელობის მედალი

ლონდონში საერთაშორისო საავიაციო ფედერაციის გენერალური კონფერენციის სესიამ დაამტკიცა დებულება საერთაშორისო საავიაციო ფედერაციის იური ალექსის-ძე გაგარინის სახელობის ოქროს მედლის შესახებ.

— გაგარინის სახელობის მედალი საერთაშორისო ფედერაციის ახალი ჯილდოა, — თქვა საკდესის კორესპონდენტთან საუბარში სსრ კავშირის საავიაციო სპორტის ფედერაციის კოსმონავტიკის სპორტულ-ტექნიკური პრობლემების კომისიის პასუხისმგებელმა მდივანმა სპორტულმა კომისარმა ი. გ. ბორისენკომ. — ეს მედალი ყოველწლიურად საერთაშორისო საავიაციო ფედერაციის საბჭოს გადაწყვეტილებებით მიენიჭება კოსმონავტ მფრინავს, რომელმაც განვლილ წელს უმაღლეს მიღწევებს მიაღწია მშვიდობიანი მიზნით კოსმოსური სივრცის ათვისების დარგში.

იური ალექსის-ძე გაგარინის სახელობის ოქროს მედალი წარმოადგენს 32 მილიმეტრი დიამეტრისა და 2 მილიმეტრი სისქის მრგვალ დისკოს. მედლის წინა მხარეს გაგარინის პროფილის რელიეფური გამოსახულებაა. დისკოს კიდეზე ფრანგულ ენაზე წარწერილია: „საერთაშორისო საავიაციო ფედერაცია. ი. ა. გაგარინი".

მედლის უკანა მხარეზე რელიეფურად გამოსახულია დედამიწის ნაწილი — აღმოსავლეთ ნახევარსფეროს მატერიკი, რომელზეც კოსმოსური ხომალდი მიფრინავს. დისკოს კიდეზე აგრეთვე ფრანგულად წარწერილია: „ადამიანის პირველი გაფრენა კოსმოსში. 12. 4. 1961". (საკდესი).

საერთაშორისო ცხოვრება

პარტიული ცხოვრება

მშენებლობა ჩვენი საბრძოლო უბანია

სულ უფრო შენდება ჩვენი მაღალმთიანი რაიონი, უმჯობესდება მოსახლეობის მატერიალური კეთილდღეობა, მაღლდება მისი კულტურული დონე. გალამაზდა და კეთილმოწყობილი გახდა რაიონული ცენტრი — ახალქალაქი. აქ ვეღარ ნახავთ მიწურ შენობებს, ქალაქის მრავალი უბანი ხარაჩოებშია.

უკანასკნელი ხუთი წლის მანძილზე ჩვენს ქალაქში აგებულ იქნა 29.300 კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი, დიდი გაქანება მიიღო საზოგადოებრივი ობიექტების მშენებლობამ. მწყობრში ჩადგა „სოფლტექნიკის" რაიონული გაერთიანების სარემონტო სახელოსნო, ლუდის ჩამომსხმელი, სახამებლის, ყველ-კარაქის ქარხნები, რაი-საავადმყოფოს კომპლექსი, სკოლა-ინტერნატი, ბევრი სავაჭრო ობიექტი.

ფართო განვითარება ჰპოვა კოოპერაციულმა, საბინაო, კომუნალურმა და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობამ სოფლად. რაიონში ინდივიდუალური ბინათმშენებლობის დიდ ტემპზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ უკანასკნელ ათ წელიწადში საბჭოთა მეურნეობების მუშა-მოსამსახურეებმა და კოლმეურნეებმა სახელმწიფოს დახმარებითა და საკუთარი სახსრებით ააშენეს 4.327 საცხოვრებელი ბინა. ხუთწლედის ორ წელიწადში აშენდა 84 საკლასო ოთახი 2.100 მოსწავლისათვის.

გასულ წელთან შედარებით წელს კაპიტალური მშენებლობისათვის გათვალისწინებულია 221 400 მანეთით მეტი. მშენებლობის მოცულობის ზრდამ მოითხოვა სამშენებლო ორგანიზაციათა ქსელის გაფართოება. ახლა რაიონში ხუთი სამშენებლო ორგანიზაციაა, მათ რიცხვში მოძრავი მექანიზებული სამშენებლო კოლონა.

ახალქალაქში შენდება კულტურის ახალი სახახლე, 25 და 24-ბინიანი საცხოვრებელი სახლები, საყოფაცხოვრებო მომსახურების კომბინატი, სავაჭრო ცენტრი, რკინაბეტონის პოლიგონი, აფთიაქი, საბავშვო ბაღი, სკოლები და სხვ., რაზეც 4.475.900 მანეთი დაიხარჯება.

სამშენებლო ორგანიზაციები საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებში ეწევიან პირუტყვის ბინების, საწყობებისა და სხვა ობიექტების მშენებლობას. აიგო ათობით საძროხე, ფარეხი, საწყობი...

კარგად მოაწყო მუშაობა ახალქალაქის სარემონტო-სამშენებლო უბანმა. მან გაუკეთა სკოლებს რემონტი, სოფელ კარწახში ააგო მასწავლებელთა საცხოვრებელი სახლი, კუმურდოში — რამდენიმე საკლასო ოთახი, ალასტანში — საცხოვრებელი სახლი ექიმთათვის. ამ უბნის საქმიანობას უნარიანად წარმართავს პირველადი პარტიული ორგანიზაცია (მდივანი ა. კარაპეტიანი). აქ წელს პარტიულ კრებებზე რამდენჯერმე განიხილეს კვარტალური გეგმების შესრულების მიმდინარეობის საკითხი, დროულად მიიღეს ზომები გამოვლინებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად, მშენებლობის ხარისხზე დააწესეს სათანადო კონტროლი.

სოფლად მშენებლობას ეწევა აგრეთვე საკოლმეურნეობათაშორისო სამშენებლო ორგანიზაცია. წელს ამ ორგანიზაციამ უნდა დაამთავროს 420 სულის ტევადობის საძროხეს, 120 სულისათვის სახბორეს, 800 ცხვრისათვის ფარეხის მშენებლობა. მაგრამ მშენებლობის ტემპი მეტად დაბალია, დღემდე ვერ მოხერხდა ინტილა-ხანდოს და აბლარ-ჩუნჩხის წყალსადენების საექსპლოატაციოდ გადაცემა. დაბალია შესრულებულ სამუშაოთა ხარისხი.

გზების მშენებლობისა და კეთილმოწყობის საქმეში ნაყოფიერ მუშაობას ეწევა რაისაბჭოს აღმასკომის საგზაო განყოფილება (გამგე ფ. კოლოკიდი). საგრძნობლად გაუმჯობესდა რაიონულ ცენტრთან დაკავშირებული ბევრი სასოფლო გზა. მაგრამ უნდა შევნიშნოთ, რომ ეს ეხება უფრო დაბალი ზონის სასოფლო გზებს. ჯერ კიდევ ცუდ მდგომარეობაშია მაღალმთიანი ზონის სასოფლო გზები. ნაკლები ყურადღება ექცევა შიდა გზების კეთილმოწყობას.

საზოგადოებრივი ობიექტების მშენებლობის საქმეში დიდ ენთუზიაზმს იჩენს რაიონის მოსახლეობა. კერძოდ, შაბათობათა მოწყობით შესრულდა დიდი სამუშაოები ავტომატური სატელეფონო სადგურისა და სატელევიზიო ცენტრის მშენებლობაზე.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1966 წლის მაისის პლენუმის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის რაიონის წყალთა მეურნეობის სისტემის სამმართველო ყოველწლიურად აფართოებს სარწყავ ფართობებს, ზრდის არხების ქსელს. სამმართველომ მიმდინარე წლის გეგმა გადამეტებით გაანაღდა, რისთვისაც მეექვსედ მიეკუთვნა რესპუბლიკური გარდამავალი წითელი დროშა. ჩვენი ამოცანაა ახალ ხუთწლედში ერთიორად გავადიდოთ სარწყავი ფართობები, ავამაღლოთ ყველა კულტურის მოსავლიანობა.

მშენებლობის დარგში უფრო მეტი წარმატებები გვექნებოდა, ყველა ორგანიზაცია პირნათლად რომ ასრულებდეს კოლმეურნეობებთან და საბჭოთა მეურნეობებთან დადებულ ხელშეკრულებებს. ეს უპირველეს ყოვლისა ეხება ისეთ დიდ ორგანიზაციას, როგორიცაა მოძრავი მექანიზებული კოლონა. წელს სამშენებლო კოლონამ უნდა ააგოს 33 ობიექტი. ეს ციფრი მეტად ბევრის მთქმელია. მშენებლობებზე უნდა დაიხარჯოს 902.000 მანეთი. წლიური დავალება კი შესრულებულია მხოლოდ 70 პროცენტით. ჭიანურდება რაიონულ ცენტრში საბავშვო ბაღის საექსპლოატაციოდ გადაცემა. დასამთავრებელია საძროხეების მშენებლობა კიროვკანის, თახჩისა და თოთხამის კოლმეურნეობებში. სამწუხაროდ, ეს ნაკლებად აღელვებს კოლონის უფროსს ს. სეიკიანს და პირველადი პარტიული ორგანიზაციის მდივანს ს. ოვაკიმიანს. სუსტი პარტიული კონტროლის შედეგად აქ მოუქნელად მუშაობს ინჟინერ-ტექნიკური პერსონალი. ამ საქმეში ბრალი მიუძღვით რესპუბლიკის მომმარაგებელ ორგანიზაციებსაც. მაგალითად, მშენებლობებისათვის გათვალისწინებული 2.000 ტონა ცემენტის ნაცვლად ორგანიზაციამ 8 თვეში მხოლოდ 607 ტონა მიიღო, 980 კუბური მეტრი სამშენებლო ხე-ტყის ნაცვლად — 318 კუბური მეტრი. გათვალისწინებულზე ნაკლებია მიღებული სხვა სამშენებლო მასალებიც. საკმარისი არ არის არსებული საავტომობილო ტრანსპორტი. გვაკლია თვითსაცლელები.

პარტიის რაიონულმა კომიტეტმა ჯერ რაიონული კომიტეტის პლენუმზე, ხოლო შემდეგ ბიუროზე განიხილა მშენებლობათა მდგომარეობის საკითხი. მაგრამ ყოველივე ეს, როგორც ჩანს, საკმარისი არ არის. საჭიროა უფრო კონკრეტულად, საქმის ცოდნით ვუხელმძღვანელოთ მშენებლობის საქმეს, ავამაღლოთ მექანიზაციის დონე, რაციონალურად გამოვიყენოთ ტექნიკა, სახსრები, დროულად შევნიშნოთ ამ საქმეში არსებული ნაკლოვანებები, მივიღოთ სასწრაფო ზომები მათ სალიკვიდაციოდ, ვიზრუნოთ მშენებლობის ხარისხის გაუმჯობესებისათვის.

ს. პეტროსიანი,
საქართველოს კომპარტიის ახალქალაქის რაიკომის პირველი მდივანი.

ვაშენოთ სწრაფად, ხარისხიანად

კარგად დაიწყეს, შემდეგ კი...

სამიოდე წლის წინათ, მაისის ერთ მშვენიერ დღეს გულრიფშის ვ. ი. ლენინის სახელობის სანატორიუმის მწვანე პარკის მყუდრო კუთხეში გამოჩნდნენ მშენებლები — საძირკველი ჩაეყარა ტუბერკულოზური საავადმყოფოს მშენებლობას.

ყველაფერი ხელს უწყობდა ახალმშენებლობის წარმატებით დაწყებას. ადგილიც შესაფერი იქნა შერჩეული და საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს და ტრესტ „ზაკტრანსსტროის" მშენებლებს შორის დადებული ხელშეკრულება მშენებლობის შემჭიდროებულ ვადებში დამთავრებას ითვალისწინებდა. გამოყოფილ იქნა საჭირო თანხებიც. პირველ ხანებში არც მასალებით მომარაგებაში იგრძნობოდა შეფერხება. ამ ობიექტზე მშენებლებს ერთი მილიონი მანეთი უნდა აეთვისებინათ და 1968 წლის ბოლოსათვის საექსპლოატაციოდ გადაეცათ საავადმყოფოს მთელი კომპლექსი, ორი დიდი ოთხ-ოთხსართულიანი სამკურნალო კორპუსითა და სხვა დამხმარე ნაგებობებით.

არ გაუმართლდათ იმედები ჯანმრთელობის დაცვის მუშაკებს. მშენებლობა შეფერხდა და სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა ტემპი ერთბაშად დაეცა. მას შემდეგ თითქმის სამნახევარმა წელმა განვლო, საავადმყოფოს მშენებლობის დამთავრებას კი ბოლო არ უჩანს. ამ ხნის მანძილზე მშენებლობისათვის გამოყოფილი საერთო თანხის მეოთხედიც ძლივს აითვისეს. მშენებლებმა დღემდის მხოლოდ პირველი კორპუსი აღმართეს.

მოსალოდნელი იყო, რომ ტრესტ „ზაკტრანსსტროის" (მმართველი ა. ცატუროვი) და მასში შემავალი სოხუმის № 133 სამშენებლო სამმართველოს (უფროსი შ. ლომინაძე) ხელმძღვანელობა გადამწყვეტ ზომებს მიიღებდნენ მშენებლობის დასაჩქარებლად, მაგრამ, სამწუხაროდ, ასე არ მოხდა. მათ ეს ობიექტი რატომღაც მეორეხარისხოვნად მიაჩნიათ და ნაკლებ ყურადღებას აქცევენ.

ამჟამად მშენებლები მხოლოდ იწყებენ პირველი კორპუსის მოპირკეთების სამუშაოებს და ისიც ფერხდება ელექტროგაყვანილობისათვის საჭირო სხვადასხვა სადენების უქონლობის გამო. ჭიანურდება ლიფტების მონტაჟი. მიუხედავად იმისა, რომ სატვირთო ლიფტები კარგახანია ადგილზეა მიტანილი, მათს დამონტაჟებას ჯერაც არ შესდგომიან „სოიუზლიფტმონტაჟის" ამიერკავკასიის სამმართველოს (უფროსი ვ. ცუცულავა) მუშაკები. ადგილზე ჯერაც არ მიუტანიათ საქვაბე და სატრანსფორმატორო სადგურის მოწყობილობა.

ეს-ეს არის დაიწყო საავადმყოფოს მეორე კორპუსის მშენებლობა და ჯერ მხოლოდ პირველი სართულის ამოყვანაზე მუშაობენ, მაგრამ სამშენებლო მოედანზე არა ჩანს რკინაბეტონის ასაწყობი კონსტრუქციები, სახურავი ფილები, ზღუდარები და სხვ. ეს კონსტრუქციები „ზაკტრანსსტროის" ტრესტს უნდა მიეწოდებინა, ამაზე სამშენებლო სამმართველომაც თავის დროზე მისცა განაცხადი, მაგრამ მათ დამზადებაზე ჯერჯერობით არავის უფიქრია.

განსაკუთრებით ცუდად იმუშავეს მშენებლებმა მიმდინარე წელს. მათ გეგმით უნდა აეთვისებინათ 150 ათასი მანეთი, აქედან დღემდის ათვისებულია მხოლოდ 25 ათასი მანეთი.

მშენებლობის ჩამორჩენას შემკვეთნი და შემსრულებლები ერთმანეთს აბრალებენ.

მშენებლები ჩივიან, სამშენებლო მასალები, მუშახელი არა გვყოფნისო, ჯანმრთელობის დაცვის მუშაკები კი ამას მშენებელთა დაუდევრობით ხსნიან.

ფაქტი კი ის არის, რომ საავადმყოფოს მშენებლობა კუს ნაბიჯით მიმდინარეობს. ახლა მთავარია დროზე გაირკვეს ხელშემშლელი პირობები, გამოინახოს საშუალებები საავადმყოფოს დროულად დამთავრებისათვის.

ი. გოგეჩია,
„კომუნისტის" საკ. კორ.

მკითხველები გვწერენ

აჰა, მიილია ეს წელიწადიც...

◆

მკითხველს წიგნები უნდა და არა დაპირებანი

◆

ამ წერილით ჩემგვარად ლოდინით გულგადაღლილებს მინდა ვუთხრა, რომ დაივიწყონ წიგნის საგამომცემლო დაწესებულებათა დაპირებანი, რადგან ამ დაწესებულებებს დიდიხანია დავიწყებიათ მკითხველთათვის მიცემული სიტყვა.

როგორც ეტყობა, არც იმას ჰქონია მნიშვნელობა, რომ ამ დაწესებულებებს მკითხველთან, გარდა დაპირებისა, წინასწარ მიღებული ფულიც აკავშირებთ. შეიძლება ეს თანხა სალაპარაკოდ არ ღირდეს, მაგრამ მაინც ანგარიშსწორებისათვის დიდი საბუთია. კაპიკსაც მნიშვნელობა აქვს ანგარიშში!

რამდენიმე წლის წინათ გამოვიწერეთ „მოკლე ლიტერატურული ენციკლოპედია" (რუსულ ენაზე). მართალია მის რედაქციასა და გამომცემლობასთან ხელი არ მიგვიწვდება, მაგრამ მაინც უნდა ვინატროთ, რომ დაპირებული ექვსი თუ შვიდი ტომი ამ გამოცემისა იმ თაობას ეღირსოს, რომელმაც გამოიწერა და რამდენიმე ტომი მიიღო. 1962 წელს დაიწყო ლიტერატურულმა ენციკლოპედიამ გამოსვლა და, ნეტავ თუ მოვესწრებით მის დამთავრებას!

მოსკოვის გამომცემლობა ასე იქცევა, მეც ასე მოვიქცევიო. ალბათ ეს არის მიზეზი, თორემ, როცა „საბჭოთა საქართველომ" პავლე ინგოროყვას თხზულებების ბეჭდვას მიჰყო ხელი, ფულიც გამოგვართვა ხელის მოწერის მაღაზიამ და მხოლოდ ორი ტომი გამოუშვა, რა მოხდა? თუ ავტორს დანარჩენი ტომის მასალა დაწერილი არა ჰქონდა, რათ გამოაცხადეს, შვიდი ტომი იქნებაო, და ხელი მოგვაწერინეს, და თუ ეს მასალა არსებობს, ამდენი ცდა რა ამბავიაო, რომ 1965 წელს აქეთ ვეღარ მოხერხდა რომელიმე ტომის გამოცემა (სხვათა შორის, გამოსულია პირველი და მესამე ტომი, ჯერ კენტი ტომები გამოვა, შემდეგ ლუწი ტომების გამოცემას შეუდგებიან?!).

იგივე „საბჭოთა საქართველო" ამ ათი წლის წინათ შეგვპირდა, ნიკო ლორთქიფანიძის თხზულებათა სრულ კრებულს ოთხტომად გამოვცემო. პირველი ტომი 1958 წელს გამოვიდა, მეორე — 1959 წელს. ათი წელიწადი გახდა და მორიგი ტომი აღარ გამოსულა.

მკითხველი არასოდეს არ მოექცევა ასე გამომცემლობას. მკითხველმა დაამტკიცა, რომ მას წიგნი უყვარს, ამიტომ უნდა, რომ მისთვის მიცემული სიტყვა შეასრულონ. ნ. ლორთქიფანიძე 1944 წელს გარდაიცვალა, და მისი გარდაცვალებიდან მეოთხედი საუკუნის მანძილზე ვერ მოხერხდა ამ ბრწყინვალე მწერლის თხზულებების სრული კრებულის გამოცემა.

გიორგი ლეონიძის თხზულებათა ექვსტომეულის პირველი ტომი 1962 წელს გამოვიდა, მეორე 1963 წელს. შემდეგ გამოცემა შეწყდა. ავტორი რომ ყოფილიყო, იქნებ მოეხერხებინა დანარჩენების გამოცემა! გიორგი ლეონიძის, ნიკო ლორთქიფანიძის და სხვა ქართველ მწერალთა მხატვრული აზრი და სიტყვა ახლაც ცოცხალია და მრავალთათვის სანიმუშოდ და სამაგალითოდ კიდევ დიდხანს იცოცხლებს, ამიტომ ხელოვნურად დაჩუმება არ ეგების!

უარეს მდგომარეობაშია გრიგოლ ორბელიანის წერილების გამოცემის საქმე. ვინ იტყვის, რომ შესანიშნავი ეპისტოლური მემკვიდრეობა გრიგოლ ორბელიანისა მოკლებული იყოს ისტორიულ-საზოგადოებრივ მნიშვნელობას! პოეტის წერილების მცოდნე და მცნობი აღტაცებულია იმ უამრავი მასალით, რომლის ამოკრება შეიძლება წერილებიდან. ეს მასალა საბუთის ძალის მქონეა და ეპოქისა და მისი შემქმნელის სულს გამოხატავს. მაგრამ რა? წერილების პირველი ტომი 1936 წელს დაიბეჭდა, მეორე — 1937 წელს და აგერ, ოცდაათ წელიწადზე მეტია გაგრძელება აღარა ჩანს.

მართლაც, ერთ თაობას ხომ უნდა მოესწრო ნაწერების ყველა ტომის გამოცემა!

იმავე „საბჭოთა საქართველომ" 1963 წელს გამოსცა ნიკო ლომოურის თხზულებანი. წიგნს ეწერა, ორ ტომად გამოვაო. გამომცემლობამ იქვე მიაწერა: ორივე ტომის გამოცემა 1963-1964 წლებში განხორციელდებაო. არ განხორციელდა!

სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობამ ძალიან გააჭიანურა ივანე ჯავახიშვილის „ქართველი ერის ისტორიის" და სხვა თხზულებების გამოცემა. პირველი ტომი (მეხუთე გამოცემისა) 1960 წელს გამოვიდა, მეოთხე — 1967 წელს და ჯერ კიდევ ბევრია დასაბეჭდავი.

მწერლის თხზულებების კრებული რომ ჩქარა და ერთად გამოვიდეს, თურმე შესაძლებელი ყოფილა. ხომ მოხერხდა, მაგალითად, ვაჟა-ფშაველას თხზულებების ათი ტომის ერთად გამოცემა 1964 წელს? მართლაც იშვიათი მოვლენა იყო ჩვენში ათი ტომის ერთად გამოცემა. მაშ, ხუთ და ათ წელიწადში მით უფრო მოსახერხებელია ერთი მწერლის ნაწარმოებთა გამოცემა.

ზოგიერთი მწერალი „იტყვის", აქ დასახელებულებს რა უჭირთ, მე ვიკითხო, რომ არა მეშველა რაო! მართლაც და, რატომ არა ეშველათ რა აქამდის გიორგი წერეთელს, ანტონ ფურცელაძეს, მიხეილ თუმანიშვილს, სოლომონ რაზმაძეს, დავით ერისთავს, ივანე მაჩაბელს, იოსებ იმედაშვილს, ალექსანდრე ორბელიანს და სხვას მრავალს, რომელნიც გამომცემლობებს არ შეაწუხებენ. ხომ უნდა ჩადგნენ საგამომცემლო რიგში ეს ქართველი მწერლები!

აღსანიშნავია, რომ ჩვენში შემოღებული „რჩეული თხზულებების" გამოცემა ძლიერ აფერხებს სრული კრებულების გამოცემას. რუსეთში სხვაგვარად არის დაყენებული საქმე. საბჭოთა პერიოდში განხორციელდა რამდენიმე გამოცემა ტოლსტოისა, გერცენისა, ტურგენევისა, ჩეხოვისა, გოგოლისა, პუშკინისა, ლერმონტოვისა, სალტიკოვ-შჩედრინისა და სხვათა. იბეჭდება მათი თხზულებების სრული კრებულები და რჩეული თხზულებებიც. ჩვენში საკმარისია გამოვიდეს რომელიმე მწერლის „რჩეული" და ეს ითვლება მწერლის გამოცემად. ასე დაემართათ ანტონ ფურცელაძეს, ეკატერინე გაბაშვილს, სოფრომ მგალობლიშვილს, ავქსენტი ცაგარელს...

ქართველ მწერალ-მოღვაწეთა ლიტერატურული მემკვიდრეობის გამოცემა მარტივი საქმე არ არის. ჩვენში ლიტერატურული მემკვიდრეობის გამოცემას უძღვებიან რუსთაველის სახელობის ლიტერატურის ინსტიტუტი, სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ლიტერატურისა და ჟურნალისტიკის კათედრები, მწერალთა კავშირი — ეს ყველა შემოქმედებითი ორგანიზაციაა.

ხომ არ იქნებოდა სასურველი რომელიმე მათგანთან შექმნილიყო კომისია (მწერლების თხზულებათა გამოცემის მცოდნენი და წარმმართველნი), რომელიც რაღაც სამუშაო გეგმას შეიმუშავებდა, ან რიგს დაადგენდა, მიმართულებას თუ არ მისცემდა, დასძრავდა მაინც დაწყებულის დამთავრების საქმეს.

სოლომონ ხუციშვილი.

კომუნისტი
მე-3 გვერდი, სამშაბათი,
3 დეკემბერი, 1968 წ.

„კომუნისტის" სიგნალის შემდეგ

რედაქციას უპასუხებს ზესტაფონის რაისაბჭოს აღმასკომი

ჩვენს გაზეთში დაბეჭდილი წერილი ეხებოდა ქალაქ ზესტაფონის ზოგიერთი ქუჩის კეთილმოუწყობლობას. ზესტაფონის რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ი. სამხარაძე გვწერს:

ფაქტები, მოყვანილი გაზეთ „კომუნისტში" დაბეჭდილ წერილში **სინამდვილეს შეეფერება.**

რაისაბჭოს აღმასკომმა განიხილა აღნიშნული საკითხი და დაავალა ზესტაფონის საქალაქო საბჭოს აღმასკომის კომუნალურ საწარმოთა კომბინატს და ზესტაფონის სარემონტო-სამშენებლო უბანს უზრუნველყონ კომკავშირისა და ძნელაძის ქუჩებზე დაზიანებული სავალი ნაწილის და საყრდენი კედლების აღდგენა, ამასთან შეცვალონ წყლის გამშვები მცირე დიამეტრის რკინაბეტონის მილები შედგენილი პროექტის მიხედვით.

რედაქციას უპასუხებს ხულოს რაიონის აღმასკომი

ჩვენს გაზეთში გამოქვეყნებული იყო კრიტიკული შენიშვნა, რომელიც ეხებოდა ხულოს რაიონის სოფელ გორგაძეების სავაჭრო მომსახურების ნაკლოვანებებს. ამ შენიშვნასთან დაკავშირებით ხულოს რაისაბჭოს აღმასკომი გვაცნობებს:

სოფელი გორგაძეები, სადაც 130 მოსახლეა, ღორჯომის სასოფლო საბჭოს ცენტრს დაშორებულია რამდენიმე კილომეტრით.

ხულოს რაიკოოპერატივის გამგეობამ დააკმაყოფილა სოფელ გორგაძეების მშრომელთა მოთხოვნა და გახსნა სავაჭრო მაღაზია.

წერილი არ დაბეჭდილა, მაგრამ...

რედაქციას უპასუხებს სიღნაღის რაისაბჭოს აღმასკომი

გ. გოჩიტაშვილის სიგნალი, რომელიც რედაქციამ ქ. სიღნაღიდან მიიღო ზომების მისაღებად სიღნაღის რაისაბჭოს აღმასკომს გადაეგზავნა. აღმასკომის თავმჯდომარე მ. კრაწაშვილი გვწერს:

სიგნალი ძირითადად ეხებოდა ქალაქის სანიტარულ მდგომარეობას. წერილში მოყვანილი ფაქტები შემოწმდა და **დადასტურდა.**

შემოწმების შედეგები განიხილა რაისაბჭოს აღმასკომმა და სანიტარული მდგომარეობის გასაუმჯობესებლად დასახა სათანადო ღონისძიებანი.

ისინი იცავენ სამშობლოს

ამირანი, შესანიშნავი მეომარი

მოტომსროლელ ასეულში სამსახურის პირველსავე თვეებმა უფრო მკაფიოდ „გამოავლინა" ახალწვეულ მსროლელ-გრანატმტყორცნელის ამირან ცხვარაძის არსი, ვიდრე ათეულმა ოფიციალურმა დახასიათებამ, რომლებიც მის პირად საქმეში ინახება.

დაიწყო იმით, რომ ახალბედამ თავისი თანამოსამსახურენი გააკვირვა სროლის დროს. იგი საცეცხლე ზღუდეზე მოქმედებდა მკაფიოდ, უფაციფუცოდ, იარაღს მარჯვედ და უნარიანად ხმარობდა. ავტომატის პირველი სროლა — და 30 ქულა 30 შესაძლებლიდან ისეთი შედეგია, რომელსაც ხშირად გამოცდილი მეომარიც ვერ მიაღწევს.

მეორედ ამირანმა საუკეთესოდ გამოიჩინა თავი სპორტული დღესასწაულის დროს. ახალგაზრდა ჯარისკაცმა შეცვალა ავადმყოფი თანამოსამსახურე, ადვილად გადალახა მრავალკილომეტრიანი დისტანცია, ერთ-ერთი პირველი მივიდა ფინიშზე და ამით თავისი გუნდისათვის უზრუნველყო საპრიზო ადგილი. სამხედრო ფიცის მიღების შემდეგ ამირან ცხვარაძე შეუდგა მზადებას თავისი პირველი სერიოზული საბრძოლო გამოცდის ჩასაბარებლად — გრანატსატყორცნის ჩათვლითი სროლისათვის.

...იმ ღირსსახსოვარ დღეს, როცა ახალგაზრდა მეომრები პირველად წავიდნენ პოლიგონზე, ამირან ცხვარაძე დიდ სიმშვიდეს იჩენდა. გრანატები რომ მიიღო, აუჩქარებლად წაიწია საცეცხლე პოზიციაზე, რამდენიმე წამში მოიმზადა სროლისათვის და, როგორც კი სეფარს იქიდან გამოჩნდა „მოწინააღმდეგის" ტანკი, დამიზნებით ესროლა პირველად, შემდეგ მეორედ და მესამედ. სამივე გრანატა მიზანს მოხვდა.

სროლისას მიღწეული წარმატება, რა თქმა უნდა, შემთხვევითი როდი იყო. საუკეთესოდ სროლა მას ასწავლა ათეულის მეთაურმა სერჟანტმა ნოვიკოვმა. ამირან ცხვარაძემ დეტალურად შეისწავლა გრანატსატყორცნის მატერიალური ნაწილი და ამ მრისხანე იარაღის სროლის თეორია, საგეგმო მეცადინეობისაგან მთელ თავისუფალ დროს იგი ბეჯით წვრთნას ახმარდა. შემდეგში ჯარისკაცმა ისწავლა სნაიპერული სროლა უძრავ და მოძრავ მიზნებში როგორც დღისით, ისე შეზღუდული ხილვადობის პირობებშიც. ერთი სიტყვით, ჯარისკაცი საუკეთესო სპეციალისტი, თავისი საქმის ნამდვილი ოსტატი გახდა.

ხელს რომ აწერდა ბრძანებას გრანატმტყორცნელი მსროლელისათვის მოკლევადიანი შვებულების მიცემის შესახებ, ნაწილის მეთაურმა კმაყოფილებით აღნიშნა: „ჩვენს პოლკში შესანიშნავი ამბავი მოხდა. ტაქტიკურ მეცადინეობაზე იშვა ახალი მეთაური — გამბედავი, ინიციატივიანი. მისთვის არ არსებობს დაბრკოლება ბრძოლის ველზე".

ამირან ცხვარაძე გულღია და გულმხურვალე ადამიანია. ასეთები კი ანდამატივით იზიდავენ ადამიანებს. ალბათ ამიტომ არის, რომ მზიური საქართველოს შვილს ბევრი მეგობარი ჰყავს. ცხვარაძე მუდამ მზად არის დაეხმაროს თანამოსამსახურეს, გაუზიაროს მას საბრძოლო ოსტატობის საიდუმლოება. მაგალითად, რიგითს მებრძოლს პივცოვს მან ასწავლა გრანატსატყორცნის სნაიპერულად მოხმარება. რიგითს ჯარისკაცს სიდორენკოს დაეხმარა უმოკლეს ვადაში მომზადებულიყო კროსისათვის. პოლიტმეცადინეობის დროს იგი მგზნებარედ და უნარიანად იცავს ჩვენი პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებების პროპაგანდას.

ვასილ ოსიპჩიკი.

სიგნალები უკომენტაროდ

● **სამი** წლის წინათ დაიდგა კომუტატორი ცხინვალის რაიონის არცევის საფოსტო განყოფილებაში. ყველას გაეხარდა, რომ ამის შემდეგ მაინც იქნებოდა სატელეფონო კავშირი საბჭოთა მეურნეობის ცალკეულ სოფლებთან, მაგრამ სიხარული ნაადრევი გამოდგა. კომუტატორს სულ ორი კვირაც არ უმუშავია, მეურნეობის მუშები კი ბინებში დადგმული ტელეფონების გადასახადს იხდიან.

ი. კაზიევი.

● **როგორც ოდნავ წამოწვიმს, მაშინვე კი გედერული-კვათანის (აბაშის რაიონი) შარაგზაზე ტბორი დგება და მიმოსვლა ჭირს.**

რ. ჭანტურია.

● **ბაშის** გზაზე (სამტრედიის რაიონი) შავი საბურველის დაგება ჯერ კიდევ 1961 წლიდან დაიწყეს. დაიწყეს და გაჩერდნენ. ამ ხნის განმავლობაში გაკეთებულიც დაინგრა.

როგორც იქნა, ამ ზაფხულს განაახლეს გზის მშენებლობა. მაგრამ სულ ორი კილომეტრიც არ არის დაგებული ნაცვლად ათისა.

გზა გაფუჭებულია. ბაშსა და სამტრედიას შუა ავტობუსის მიმოსვლა შეფერხებულია.

ი. გოკუჩავა.

მოკლედ

△ **ყოველდღე** მრავალი მკითხველი მოდის ონის პირველ საქალაქო ბიბლიოთეკაში. აქ მიმზიდველად არის მოწყობილი ლიტერატურის გამოფენა, რომელიც მიძღვნილია ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისადმი.

კ. ლოგუანიძე.

△ **ამას წინათ** კავშირგაბმულობის ზუგდიდის რაიონულმა კვანძმა სოფელ შამგონაში გახსნა ახალი საფოსტო განყოფილება, რომელიც მომსახურებას გაუწევს კოლმეურნეებს.

ბ. ალშიბაია.

თბილისის საშენ მასალათა კომბინატის პროდუქციას დღეს მრავალ ქვეყანაში იცნობენ. კომბინატის ფაიფურის საამქროში ამზადებენ მრავალფეროვან სუვენირებს; ამ ნაკეთობათა უკანასკნელ დამუშავებას მხატვრები იწყებენ. ისინი აძლევენ მათ მომხიბვლელ ელფერს.

სურათზე: საამქროს ერთ-ერთი მოწინავე მხატვარი **ლუიზა ლიპარტელიანი,** რომელიც მხოლოდ მაღალხარისხოვან პროდუქციას ამზადებს.

ფოტო ბ. კეკელიძისა.

დონორობა საპატიო საქმეა

ყოველდღიურ სამედიცინო პრაქტიკაში ფართოდ დაინერგა სისხლის გადასხმით მკურნალობის ეფექტური მეთოდი. უმისოდ ახლა წარმოუდგენელია დიდი და რთული ქირურგიული ოპერაციები შინაგან ორგანოებზე და მრავალი სხვა არაქირურგიული პროფილის ავადმყოფობის მკურნალობა.

გარდა ადამიანის მთლიანი სისხლისა, ამჟამად ასევე ფართოდ იხმარება მისი კომპონენტები და პრეპარატები. მეცნიერებმა შეძლეს სისხლის ხელოვნური დაშლა მის ძირითად შემადგენელ ნაწილებად და ეს კომპონენტები ახლა წარმატებით იხმარება პედიატრიულ - მეან - გინეკოლოგიურ, თერაპიულ და სხვა კლინიკებში.

ყოველი პრეპარატის მისაღებად საჭიროა ადამიანის სისხლი დიდი რაოდენობით. მაგალითად: 1 მილიგრამი გლობულინის მისაღებად საჭიროა 1 ლიტრამდე სისხლი. ეს პრეპარატი წარმატებით იხმარება ბავშვთა მრავალი დაავადების პროფილაქტიკისათვის.

1 გრამი ფიბრინოგენის მისაღებად საჭიროა დაახლოებით 1 ლიტრი სისხლი. მკურნალობის კურსისათვის კი საჭიროა დაახლოებით 6 გრამი ფიბრინოგენი. ფიბრინოგენი უებარი საშუალებაა მშობიარობის შემდგომი გართულების, ძლიერი სისხლის დენის შესაჩერებლად. მაშასადამე, ერთი ავადმყოფის სამკურნალოდ 30 ადამიანმა უნდა გაიღოს სისხლი.

სისხლზე მზარდი მოთხოვნილება განაპირობა აგრეთვე იმ გარემოებამ, რომ თანამედროვე მეცნიერების მიღწევებმა კიდევ უფრო გააფართოვეს ჩვენებები სისხლის და მისი კომპონენტების გამოყენებაზე სხვადასხვა დაავადების დროს.

მიუხედავად იმისა, რომ მსოფლიოს მთელ რიგ ქვეყნებში მიმდინარეობს ინტენსიური საძიებო, კვლევითი სამუშაოები ხელოვნური სისხლშემცვლელების შესაქმნელად, ეს პრობლემა ჯერ გადაწყვეტილი არ არის და დღეისათვის ადამიანის სისხლის შემცვლელი საშუალება არ არსებობს. ამის გამო სისხლის, მისი პრეპარატების და კომპონენტების ძირითად წყაროდ რჩება ჯანმრთელი ადამიანი, რომელიც ნებაყოფლობით ასრულებს დონორის მაღალ მისიას.

დონორობა ყოველი მოქალაქის საპატიო მოვალეობაა, კაცთმოყვარეობის უმაღლესი გამოვლინება და ამხანაგური ურთიერთდახმარების აქტია. არც თუ დიდი ხნის წინათ დონორობა იყო რამდენიმე ათეული ენთუზიასტის საქმე, რომლებიც ნებაყოფლობით და უსასყიდლოდ გასცემდნენ თავიანთ სისხლს ავადმყოფისათვის გადასასხმელად.

დიდი სამამულო ომის პერიოდში დონორთა რიგები გაიზარდა და ათეულ ათასობით საბჭოთა ადამიანი გახდა დონორი, ხოლო მათ მიერ გაღებულმა სისხლმა მრავალი დაჭრილი მეომრის სიცოცხლე იხსნა.

დონორების რიგები ყოველდღიურად იზრდება, მაგრამ დღემდე არსებული ფულადი ანაზღაურება აღარ არის შემდგომი ზრდის სტიმული. უფრო მეტიც, ფულადი კომპენსაცია აბალებს კეთილშობილურ, ჰუმანურ საქმეს — სისხლის გაღებას გაჭირვებაში მყოფისათვის. რამდენიმე წლის წინათ მოსკოველ და ლენინგრადელ მშრომელთა თაოსნობით დაიწყო მოძრაობა მასობრივი უსასყიდლო დონორობისათვის, რამაც ფართო გამოხმაურება ჰპოვა მთელ ჩვენს ქვეყანაში.

სოციალისტური საზოგადოების პირობებში დონორთა მოძრაობის ძირითად და ყველაზე პერსპექტიულ ფორმას წარმოადგენს მასობრივი უსასყიდლო დონორობა, რომელიც სხვადასხვა მასშტაბით იწყობა საწარმო-დაწესებულებებში, ქალაქებში, რაიონებში და რესპუბლიკებში „დონორის დღის" სახით. მიღებულმა გამოცდილებამ დაგვარწმუნა, რომ სწორედ ამ გზით არის შესაძლებელი სამკურნალო-პროფილაქტიკური დაწესებულებების მოთხოვნილების სრული დაკმაყოფილება სისხლზე.

ამას წინათ „დონორის დღე" ჩატარდა ჩვენს რესპუბლიკაში. ამ დღის მრავალმა მშრომელმა, რომლებსაც ამოქმედებდა ამხანაგობის ღრმა რწმენა, კაცთმოყვარეობა და სამშობლოს სიყვარული, უსასყიდლოდ გასცა თავისი სისხლი ავადმყოფთათვის გადასასხმელად და სისხლის პრეპარატების დასამზადებლად.

ადამიანის სისხლი მეტად სათუთი სითხეა, რომელიც კარგავს თავის სამკურნალო თვისებებს შორ მანძილზე ტრანსპორტირებისას და ხანგრძლივი შენახვის დროს. ამიტომ „დონორის დღეს" დაკონსერვებული სისხლის ნაწილი დატოვებულ იქნა ადგილზე, ხოლო დანარჩენი გადამუშავებული იყო სხვადასხვა სამკურნალო პრეპარატად. აღსანიშნავია, რომ სისხლის მასობრივი დამზადება ასეთი მასშტაბით ჩვენს რესპუბლიკაში პირველად მოეწყო.

„დონორის დღემ" მთელ რესპუბლიკაში ორგანიზებულად და მაღალ დონეზე ჩაიარა, განსაკუთრებით ხაშურის, კასპის, მცხეთის რაიონებში, აჭარისა და აფხაზეთის ასს რესპუბლიკებში.

რესპუბლიკაში ჩატარებულმა „დონორის დღემ" ცხადყო, რომ ჯანმრთელობის დაცვის ქსელი, რესპუბლიკის სისხლის სამსახური და წითელი ჯვრის საზოგადოება ურთიერთთან მჭიდრო კავშირით, ერთობლივი მუშაობით შესძლებენ უზრუნველყონ ყველა სამკურნალო-პროფილაქტიკური დაწესებულება სისხლით, მისი კომპონენტებითა და პრეპარატებით.

ვ. ჩხაიძე,
მუხაძის სახ. ჰემატოლოგიისა და სისხლის გადასხმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე,

ო. ტურაბელიძე,
დონორობის პროპაგანდის განყოფილების გამგე.

ჩვენი იურიდიული კონსულტაცია

შეგვეკითხეთ, გიპასუხებთ

შეკითხვა: 1961 წელს მაიაკოვსკის რაიონის სოფელ ვარციხეში მივიღე მიწის ნაკვეთი 0,15 ჰექტარი, რომელზეც ავაგე ერთოთახიანი სახლი და გავაშენე ბოსტანი, ვენახი, ხეხილი. ვცხოვრობ და ვმუშაობ ქ. თბილისში, დამეტოვება თუ არა მიწის ნაკვეთი?

ვ. შარვაშიძე, ქ. თბილისი.

პასუხი: საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1962 წლის 4 ნოემბრის № 776 დადგენილების შესაბამისად, იმ პირებს, რომლებსაც გაწყვეტილი აქვთ კავშირი სოფელთან, ჩამოერთმევათ საკარმიდამო მიწის ნაკვეთები. საკარმიდამო მიწის ნაკვეთის ჩამორთმევა ამ ნაკვეთზე აგებული შენობის პირად მესაკუთრეს არ ართმევს შენობით სარგებლობის უფლებას.

შეკითხვა: ჩემმა ქმარმა უმიზეზოდ მიატოვა ოჯახი. იგი ცხოვრობს სხვა ქალაქში და მოითხოვს განქორწინებას. მაქვს თუ არა უფლება არ მივცე თანხმობა განქორწინებაზე, თუ კი — რა დროის განმავლობაში?

ნ. გამყრელიძე, ქ. რუსთავი.

პასუხი: თქვენ უფლება გაქვთ არ დაეთანხმოთ განქორწინებაზე თქვენს მეუღლეს. ეს უფლება ვადით არ არის განსაზღვრული. ასეთ შემთხვევაში დავას განიხილავს სახალხო სასამართლო, რომელიც გადაწყვეტს საკითხს, უნდა მოხდეს განქორწინება თუ არა.

შეკითხვა: ჩამეთვლება თუ არა პედაგოგიური მუშაობის სტაჟში კომკავშირის რაიკომის განყოფილების გამგედ და მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის მდივნად მუშაობის დრო?

ა. გუგეშაშვილი, ქ. ონი.

პასუხი: საბჭოთა ორგანიზაციებში არჩევით თანამდებობებზე მუშაობის პერიოდი, აგრეთვე კომკავშირულ ორგანოებში განთავისუფლებულ კომკავშირული მუშაობის პერიოდი მასწავლებლებს, აღმზრდელებსა და სხვა პედაგოგიურ მუშაკებს ეთვლებათ პედაგოგიური მუშაობის სტაჟში როგორც ცალცალკე, ისე ერთად, თუ ამ პერიოდებს უშუალოდ წინ უძღოდა ან უშუალოდ თან სდევდა პედაგოგიური მოღვაწეობა.

შეკითხვა: დედაჩემთან განქორწინების მოუხდენლად მამაჩემმა 1951 წელს შეირთო სხვა ქალი. მე ვიზრდებოდი დედასთან. 1964 წელს გარდაიცვალა მამაჩემი, რომელსაც დარჩა პირადი საკუთრების სახლი. მეკუთვნის თუ არა სამკვიდრო ქონება?

ნ. შარაბიძე, ქ. თბილისი.

პასუხი: თქვენ, როგორც შვილი, ითვლებით პირველი რიგის კანონისმიერ მემკვიდრედ და ამიტომ სამკვიდრო ქონებიდან გეკუთვნით წილი პირველი რიგის სხვა კანონისმიერ მემკვიდრეებს თანაბრად. თუ ასეთი სხვა მემკვიდრეები არ არიან, შეგიძლიათ სამკვიდრო ქონება მიიღოთ მთლიანად.

შეკითხვა: სოფელ პატრიკეთში გარდაიცვალა მამა 1966 წელს და დედა — 1968 წელს, რომლებიც კოლმეურნეობის წევრები იყვნენ. მშობლების სახლს და სხვა ქონებას დაეპატრონა ჩემი ძმა, რომელიც ცხოვრობს და მუშაობს ქ. ქუთაისში. მშობლებს ანდერძი არ დაუტოვებიათ. ვარ ქმარშვილიანი, ვცხოვრობ ქ. თბილისში, მეკუთვნის თუ არა წილი მშობლების სამკვიდრო ქონებიდან?

ნ. ძოწუაშვილი, ქ. თბილისი.

პასუხი: თუ თქვენი მშობლების გარდაცვალების შემდეგ მათ კომლში სხვა წევრი არ დარჩენილა, სამკვიდრო გახსნილად ითვლება. მიუხედავად იმისა, რომ თქვენ ქმარშვილიანი ხართ, უფლება გაქვთ მიიღოთ წილი სამკვიდრო ქონებიდან, რადგან თქვენი ძმის თანაბრად ითვლებით გარდაცვლილი მშობლების კანონიერ მემკვიდრეებად თანასწორი წილის უფლებით.

„შოთა რუსთაველი" ავსტრალიაში



როგორც საკდესის კორესპონდენტი სიდნეიდან იუწყება, აქ ჩამოვიდა საბჭოთა თბომავალი „შოთა რუსთაველი", რომელიც დაფრახტულია ინგლისის კომპანია „ჩატერ ტრეველ კლაბის" მიერ. მან თავისი პირველი რეისი საუტჰემპტონიდან (ინგლისი) სიდნეიმდე განახორციელა 30 დღეში.

ავსტრალიის პრესის აზრით, „შოთა რუსთაველი" პირველი კლასის ლაინერია, რომელსაც ბევრი უპირატესობა აქვს თანამედროვე სამგზავრო გემებთან შედარებით. კითხვაზე, თუ როგორ იმგზავრეს, ან ხომ არ ყოფილა რაიმე უხერხულობა, მგზავრებმა საბჭოთა ლაინერს ერთსულოვნად მაღალი შეფასება მისცეს. ავსტრალიასთან მიახლოებისას ხომალდი ათბალიან შტორმში მოჰყვა, მაგრამ არც ერთი მგზავრი არ შეწუხებულა ზღვის დაავადებით. რყევა არ იგრძნობოდა, ვინაიდან „შოთა რუსთაველი" აღჭურვილია „რყევის დამამშვიდებელი" სპეციალური მოწყობილობით.

სხვადასხვა ქვეყნის მგზავრებს საბჭოთა თბომავალზე მოეწონათ მყუდრო კაიუტები ტელეფონითა და ილუმინატორით, საცურავი აუზი. ყველას შეუყვარდა ქართული ანსამბლი „ორერა". ამიტომ იყო, რომ მგზავრებმა (300-ზე მეტი კაცი) ლაინერის კაპიტნის ელიზბარ გოგიტიძის სახელზე დაწერეს კოლექტიური წერილი, რომელშიც მადლობას უხდიან მთელ ეკიპაჟს შესანიშნავი მგზავრობისა და დაუვიწყარი შთაბეჭდილებებისათვის.

შთაბეჭდილებათა წიგნში ჩაწერილია ასობით მადლობა თბომავლის გულისხმიერი ეკიპაჟისადმი.

• • •

სურათებზე: საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის ვოკალურ-ინსტრუმენტული ანსამბლი „ორერა"; თბომავალი „შოთა რუსთაველი".

ეროვნული კულტურის სამსახურში

ძმობის კერა

ყოფილი კავკავის ქართული საშუალო სკოლა 80 წლისაა

◆

გასცდებით თუ არა დარიალის ვიწროებს, თქვენს თვალწინ გადაიშლება ყვავილნარებსა და ბაღნარებში ჩაფლული მოძმე ოსეთის გული — ქალაქი ორჯონიკიძე. აქ აკაკი წერეთლის ქუჩაზე ამაყად დგას ორსართულიანი მშვენიერი შენობა.

მისი საძირკველი ოთხმოცი წლის წინათ ჩაიყარა. კავკავის ტერიტორია დიდი ხნის წინ დასახლებული იყო ქართველ მთიელთა საკმაო ნაწილით. ძველი ცხოვრების მძიმე და აუტანელი პირობები, ადგილის სიმცირე აიძულებდა მათ მიეტოვებინათ მშობლიური მთა-გორები და ეძებნათ ცხოვრების ხელსაყრელი პირობები. ასეთ ადგილს სწორედ ჩრდილოეთ კავკასია და კერძოდ კავკავი წარმოადგენდა.

ქართველები ქალაქის ვრცელ ტერიტორიაზე იყვნენ გაფანტული. სასკოლო ასაკის ბავშვთა უდიდესი ნაწილი სკოლის გარეშე იყო დარჩენილი. „შეძლებული მშობლებიც კი, ღარიბებზე რომ არაფერი ვთქვათ, შვილებს თავისი უბნის რუსულ ან ოსურ სკოლებში აბარებდნენ, სადაც მშობლიურ ქართულ ენასაც კი ივიწყებდნენ", წერს თავის მოგონებაში ყოფილი რევოლუციონერი მასწავლებელი გიორგი ნათაძე.

ქართველებს არ გააჩნდათ სკოლა, სადაც ბავშვები მიიღებდნენ ცოდნას მშობლიურ ენაზე. და აი სწორედ ამის გამო ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ გადაწყვიტა კავკავში (ახლანდელი ორჯონიკიძე) ქართული სკოლის დაარსება.

ჩრდილოეთ კავკასიაში მცხოვრებ ქართველთა სანუკვარი ოცნების განხორციელება ცნობილმა ქართველმა რევოლუციონერ-დემოკრატმა მიხეილ ზაალის-ძე ყიფიანმა იკისრა. ეს ის ყიფიანი იყო, რომლის დასაფლავებაზე ოსეთის დიდმა პოეტმა კოსტა ხეთაგუროვმა ამაღელვებელი ლექსი წაიკითხა:

„მოკვდა! ამ სიტყვამ უსაზღვრო სევდით
და მწუხარებით გული აავსო,
ზარდაცემული ამ მწარე ხვედრით
ოხრავს და სტირი, ჩემო კავკასო!

დაჰკარგე შვილი შენ ღირსეული,
მოკრძალებული, დინჯი ქართველი,
შენი აზრის და ფიქრის რჩეული
კეთილშობილი გამომხატველი.

განა ბევრი გყავს შვილი ამგვარი,
ერის გულისთვის თავგანწირული,
ხალხს რომ აუნთეს ცოდნის ლამპარი
და მტერს აგემეს დარტყმა გმირული.

საშვილიშვილოდ ეგ ცრემლი წავა,
დღეს რომ წუხილით გული აავსო...
შენი მომავლის მე მჯერა კვლავაც,
რადგან შენს გლოვას ვხედავ, კავკასო!"

(თარგმანი გრ. აბაშიძისა).

1888 წლის ნოემბრის ბოლოს პირველად დარეკა კავკავის ქართული სასწავლებლის ზარი, რომელმაც ცოდნასმოწყურებულ ქართველ ყმაწვილებს სიხარულით ამცნო სწავლის დაწყება მშობლიურ ენაზე, რუსთაველის ენაზე.

მშობლიური სკოლის კეთილმოწყობაზე თავგამოდებით ზრუნავდნენ ჩრდილოეთ კავკასიაში მცხოვრები ქართველები. მათი ინიციატივით და საკუთარი შემოწირულებით ძველი, პატარა შენობის ნაცვლად აგებული იქნა დღევანდელი მშვენიერი, ორსართულიანი ნაგებობა, სადაც სასწავლო დაწესებულების გარდა მოთავსებული იყო ქართული ბანკი, ჭრა-კერვის სკოლა, ქართული ეკლესია და მშვენიერი კლუბი. კლუბში იმართებოდა საღამო-წარმოდგენები, რომლებითაც მეტად კმაყოფილნი რჩებოდნენ მაყურებელნი.

ქართული კულტურის ეს შესანიშნავი კერა დღითიდღე სახელს იხვეჭდა მთელ ჩრდილოეთ კავკასიაში. განსაცვიფრებელი სისწრაფით იზრდებოდა სკოლის ავტორიტეტი და მოსწავლეთა რიცხვი.

სკოლის წინსვლისა და განმტკიცების საქმეში დიდი წვლილი შეიტანა გამოჩენილმა ქართველმა პედაგოგმა ლუარსაბ ბოცვაძემ, რომელიც თოთხმეტი წლის განმავლობაში დაუღალავად იბრძოდა სკოლის აყვავებისათვის. არ სცდებოდნენ კავკაველი ქართველები, როცა ამ ნიჭიერი პედაგოგის შესახებ ამბობდნენ: ქართული სკოლა ლუარსაბ ბოცვაძის ფილტვებითა და ძვლებით არის აშენებულიო.

როგორც ქართული, ისე რუსული ენის სწავლება სკოლაში ისე ბრწყინვალედ ჰქონია დაყენებული ამ შესანიშნავ პედაგოგს, რომ მისი გაკვეთილებით განცვიფრებული შემმოწმებელი გრუშევსკი სხვა სკოლის მასწავლებლებს ხშირად ასე მიმართავდა: წადით ქართულ სკოლაში და ლუარსაბ ბოცვაძისაგან ისწავლეთ, თუ როგორ უნდა რუსული ენის სწავლებაო.

ქართულ სკოლასთან ძლიერ დაახლოებული ყოფილა ოსეთის სახალხო პოეტი კოსტა ხეთაგუროვი, რომელსაც არაერთი მგზნებარე ლექსი წაუკითხავს ქართველი ყმაწვილებისა და მათი მშობლებისთვის.

ქართული კულტურის ამ შესანიშნავ კერასთან მჭიდრო კავშირი ჰქონიათ გამოჩენილ ქართველ რევოლუციონერებს ფილიპე მახარაძეს, ნოე ბუაჩიძეს, სერგო ქავთარაძეს, მამია ორახელაშვილს და მრავალ სხვას.

ბევრი სახელმოხვეჭილი პედაგოგი ჰყოლია სკოლას, რომელნიც ძალ-ღონის დაუზოგავად ემსახურებოდნენ მრავალტანჯული მშრომელი ხალხის განთავისუფლების საქმეს, რის გამო ბევრი მათგანი ციმბირშიც კი გადაუსახლებია მეფის მთავრობას. ასეთ მასწავლებელთა რიცხვს ეკუთვნოდა მაქსიმე ყაზახაშვილი და მისი მეუღლე ელენე.

ის ფაქტი რად ღირს, რომ ქართული სკოლის შენობაში მოთავსებული იყო არალეგალური ბოლშევიკური სტამბა, სადაც განუწყვეტლივ იბეჭდებოდა მეფის ხელისუფლების წინააღმდეგ მიმართული მოწოდებანი და საბრძოლო პროკლამაციები.

ამ სკოლით დაინტერესებული ყოფილა რევოლუციის ტრიბუნი — სერგეი მირონის-ძე კიროვი, რომელიც დიდი გულისხმიერებით ეკიდებოდა ქართველ პედაგოგებს, რომელთა წერილებსაც ხშირად აქვეყნებდა გაზეთ „ტერეკში".

თავის დროზე სკოლის წინსვლის საქმეს გარკვეული ღვაწლი დასდეს ამ ქართული სკოლის ყოფილმა მასწავლებლებმა — პროფესორმა უშანგი ობოლაძემ, მწერალმა ლევან გოთუამ, საქართველოს სსრ დამსახურებულმა მასწავლებელმა დიმიტრი ყიფიანმა, ჩრდილოეთ ოსეთის დამსახურებულმა მასწავლებელმა ოლია ბაკურაძემ, გ. ნათაძემ, გ. მიქაბერიძემ, ვ. გიორგობიანმა და სხვებმა.

ქართული სკოლის ცხოვრების ახალი, ბრწყინვალე ფურცელი გადაშალა საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებამ. გაიზარდა და გაფართოვდა სასწავლებელი, რომელიც დედა-სამშობლოს უზრდის ღირსეულ თაობას.

ვინ მოთვლის, რამდენი ახალგაზრდა აღჭურვილა ცოდნით კულტურის ამ შესანიშნავ ტაძარში, რომელთაც შემდეგ სწავლა გაუგრძელებიათ თბილისისა და სხვა უმაღლეს სასწავლებლებში, ვამაყობთ იმით, რომ ბევრი მათგანი, ვისაც სხვადასხვა დროს ამ სკოლაში უსწავლია, დღეს გამოჩენილი ადამიანია.

განსაკუთრებული მზრუნველობით ეკიდებიან მშობლიურ სკოლას მისი აღზრდილები, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ლექტორები ვ. შადური, ვ. ნათაძე, ი. ბოცვაძე და მრავალი სხვა.

ამჟამად სკოლაში ნაყოფიერ პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწევიან თავიანთი საქმის კარგად მცოდნე მასწავლებლები ებრალიძე, ვ. ქავთარაძე, გ. მეტრეველი, ეკ. ჩაგელიშვილი, ე. რეხვიაშვილი, კ. მახალდიანი, რ. ხუცელიძე, ვ. ფიცხელაური, გ. ხომერიკი, ვ. კერესელიძე, ს. შალაშვილი და სხვანი. ამ სკოლას სათავეში უდგას ამავე სკოლის ყოფილი მოსწავლე სოფიო ელიაშვილი. ისინი ცდილობენ აღსაზრდელებს მისცენ არა მარტო ღრმა და საფუძვლიანი ცოდნა, არამედ უნერგავენ მათ შრომისადმი კომუნისტურ დამოკიდებულებას, ზრდიან საბჭოთა პატრიოტიზმისა და ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით.

ქართული სკოლისადმი გულწრფელ დამოკიდებულებასა და სიყვარულს იჩენს მოძმე ოსი ხალხი, მისი ინტელიგენცია.

ქ. ორჯონიკიძის ქართული საშუალო სკოლა დღეს თავისი არსებობის ოთხმოცი წლისთავს აღნიშნავს. ეს სკოლა მომავალშიც იქნება მოძმე ხალხთა შორის ძმობისა და მეგობრობის ურღვევი კერა.

შ. რეხვიაშვილი,
ქალაქ ორჯონიკიძის ქართული საშუალო სკოლის მასწავლებელი.

• • •

ეროვნული ბიბლიოთეკა

სურათზე: ქალაქ ორჯონიკიძის ქართული საშუალო სკოლის შენობის ხედი.

ახალმშენებლობანი

ტყიბული. (საქ. კორ.). შეძლებულად ცხოვრობენ სოფელ ორპირის კოლმეურნეები. ამაზე ნათლად მეტყველებს კოლმეურნეთა ორსართულიანი ოდა-სახლები, ლამაზად, გემოვნებით მოწყობილი გზები და ეზოები. ამჟამად აქ 30 კოლმეურნე იშენებს ახალ კაპიტალურ საცხოვრებელ სახლს. არტელის გამგეობამ ხუთ ინდივიდუალურ ბინათმშენებელს მისცა გრძელვადიანი სესხი. კოლმეურნეობა თავის წევრებს უყოფს სამშენებლო მასალებს, აძლევს ავტოტრანსპორტს და სხვა საჭირო სამშენებლო მექანიზმებს.

ტურნე ინდოეთში

მინსკის „დინამოს" ფეხბურთელთა კოლექტივი განაგრძობს ტურნეს ინდოეთში. მორიგი მატჩი დინამოელებს ჰქონდათ მადრასში ადგილობრივ ნაკრებთან და გაიმარჯვეს ანგარიშით 2:0. ამრიგად, მინსკელებმა ინდოეთში გამართული ოთხი მატჩიდან ოთხივე მოიგეს.

კალათბურთელებმა სტარტი აიღეს

სიახლენი ცოტა როდია...

კვირას სტარტი აიღო ჩვენი ქვეყნის XXXVI ჩემპიონატმა კალათბურთში ვაჟთა გუნდებისათვის. ისევე, როგორც გასულ სეზონში, ახლაც პირველობას ერთმანეთს ეცილება 12 კოლექტივი. შეჯიბრება ეწყობა ოთხ წრედ (მოწინააღმდეგისა და საკუთარ მოედანზე), ეს იმას ნიშნავს, რომ თვითეულ გუნდს ჩასატარებელი ექნება 44 მატჩი.

ახალ ჩემპიონატში სიახლენი ცოტა როდია. ჯერ ერთი, გუნდები თამაშობენ მთელი თავიანთი შემადგენლობით. მათ რიგებს მოსკოვის „დინამოსა" და ალმაატის „ლოკომოტივის" სახით შემატნენ ახალი საკმაოდ ძლიერი კოლექტივები.

სტარტის ციებ-ცხელება

სპორტულ წრეებში ხშირად გაიგონებთ ასეთ გამოთქმას — ჩემპიონობის მოპოვება უფრო ადვილია, ვიდრე მისი შენარჩუნება. რა თქმა უნდა, ამაში არის გარკვეული სიმართლე და ამის ერთ-ერთი დამადასტურებელი იყო ჩემპიონის — თბილისის „დინამოს" კვირის მატჩი — ტარტუს „კალევთან".

ჩემპიონატის გახსნას თბილისის სპორტის სასახლეში წინ უძღოდა საზეიმო ცერემონიალი. დინამოელთა სასტარტო ხუთეულში იყვნენ მოსეშვილი, საკანდელიძე, ლეჟავა, სხიერელი, უგრეხელიძე. ანგარიში საკანდელიძემ გახსნა, მეორე ბურთი მეტოქის კალათაში ჩააგდო სხიერელმა, მესამე — ლეჟავამ. მე-8 წუთისათვის წინ იყო ჩემპიონი 14:2. მართალია, სტუმრებმა ქულათა სხვაობა ნაწილობრივ შეამცირეს, მაგრამ ტაიმი მაინც წააგეს 33:41.

თამაშის პირველი ნახევრის მსვლელობა იმის დამადასტურებელი იყო, რომ დინამოელები ამ შეხვედრას ადვილად მოიგებდნენ. მაგრამ სურათი მკვეთრად შეიცვალა. მეორე ტაიმის მე-6 წუთისათვის ტარტუელი კალათბურთელები უკვე წინ იყვნენ 45:44. ბრძოლა გამწვავდა. მე-17 წუთზე ანგარიში იყო 65:65, მე-18 წუთზე — 66:66. ბოლო ორ წუთში ჩემპიონმა ძალა მოიკრიფა და მძიმე გამარჯვება მოიპოვა 71:70.



ს. კოვალენკო — მატჩის გმირი

ბევრი იოლ გამარჯვებას უწინასწარმეტყველებდა ცსკა-ს თბილისის „ბურევესტნიკთან" მატჩში. ამაში თითქმის გასაკვირველი არაფერი იყო, რადგან არმიელთა რიგებში სსრ კავშირის ნაკრების ექვსი წევრი ირიცხება. მოსკოველ კალათბურთელთათვის მთავარი პრობლემა ს. კოვალენკოს (2 მეტრი და 18 სანტიმეტრი) ნეიტრალიზება იყო. მიუხედავად იმისა, რომ ს. კოვალენკოს მეორე გიგანტი ვ. ანდრეევი (2 მეტრი და 15 სანტიმეტრი) სდარაჯობდა, თბილისელმა თავის გუნდს 21 ქულა მოუტანა. აღსანიშნავია, რომ მეორე ნახევარში თბილისელები მეტწილად წინ იყვნენ, ისინი მხოლოდ ბოლო წუთებში დამარცხდნენ 59:68 (30:33).

კვირის დანარჩენი მატჩების შედეგები ასეთია: „სპარტაკი" (ლენინგრადი) — „სტროიტელი" (კიევი) 58:65; ვეფი (რიგა) — „დინამო" (მოსკოვი) 57:61, სკა (კიევი) — სკა (რიგა) 82:72.

გუშინ

გუშინ თბილისის სპორტის სასახლეში ტარტუს „კალევი" და თბილისის „დინამო" კვლავ შეხვდნენ ერთმანეთს. გაიმარჯვეს დინამოელებმა 85:73. მოსკოვში ცსკა-მ მოუგო თბილისის „ბურევესტნიკს" 67:61.

ვ. გაბელია.

• • •

სურათზე: კალათბურთში სსრ კავშირის ჩემპიონის თბილისის „დინამოსა" და ტარტუს „კალევის" მატჩის ერთ-ერთი მომენტი.

ფოტო ა. კოტორაშვილისა.

ნანა ალექსანდრია — სსრ კავშირის ჩემპიონი

ჩვენი ქვეყნის ჩემპიონობისა და ოქროს მედლის მაძიებლებმა საერთაშორისო ოსტატებმა ნანა ალექსანდრიამ და ალა ჩაიკოვსკაიამ დაამთავრეს ბრძოლა. როგორც ცნობილია, მატჩი ექვსი პარტიისაგან შედგებოდა, 2 დეკემბრამდე კი ჩათამაშებული იყო სამი პარტია. სასწორი ექს-ჩემპიონის ნ. ალექსანდრიას მხარეზე იყო გადახრილი.

მესამე პარტიის წინ, რომელიც კვირას შედგა საქ. კპ. ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის კლუბში, ანგარიში იყო 1,5:0,5. მესამე პარტიის შედეგს პირველ რიგში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ა. ჩაიკოვსკაიასათვის, რომელიც ამჯერად თეთრებით თამაშობდა. ნ. ალექსანდრია ინიციატივიანად იბრძოდა, ამასთანავე მან კარგად გამოიყენა მეტოქის არაზუსტი სვლა და პარტია თავის სასარგებლოდ დაამთავრა.

მატჩის ანგარიში გახდა 2,5:0,5. ორი ქულის სხვაობა მატჩში ცოტას როდი ნიშნავდა, მით უმეტეს მოკლე დისტანციაზე. დარჩენილ სამ პარტიაში ნ. ალექსანდრიას ერთი ქულა სჭირდებოდა. ამიტომ გუშინდელ პარტიას დიდძალი მაყურებელი დაესწრო. მეოთხე პარტიაში თეთრებით თამაშობდა ნ. ალექსანდრია.

ბრძოლის სიმწვავეზე ისიც მეტყველებდა რომ მოწინააღმდეგეებმა სხვადასხვა მხარეზე გააკეთეს როქი. ა. ჩაიკოვსკაია ძლავდა და დაუშვა შეცდომები. მალე ნამ პაიკი მოიგო, შემდეგ მხედარი და შავები დანებდნენ.

ამრიგად, ნ. ალექსანდრიამ 3,5 ქულა მოაგროვა 4-დან და სსრ კავშირის ჩემპიონობა მოიპოვა.

ჩვენს კორესპონდენტთან საუბარში მთავარმა მსაჯმა ო. იგნატიევამ განაცხადა: მატჩი მიმდინარეობდა ერთ კართან, ნანა უკეთესად იყო მომზადებული და გამარჯვებაც დამსახურებულია. თქვენთან ერთად მეც ვულოცავ ნ. ალექსანდრიას დიდ გამარჯვებას — უკვე მეორეჯერ ჩემპიონობას.

საინტერესო ამბების სამყაროში

◆

კვლავ „გიგანტური ზღვის გველი"?

ვეშაპსაჭერი ფლოტილიის ბაზა „სოვეტსკაია როსიის" რადიოგრამაში საკდესის სპეციალური კორესპონდენტი მიხეილ იზბენკო იუწყება, რომ ანტარქტიკის ინდოეთის სექტორში რეწვის რაიონში ვერტმფრინავიდან ორჯერ დაინახეს... ზღვის „ცხოველები", რომლებიც 10-15 მეტრი სიგრძის ვეება გველებს ჰგავდნენ.

„გველები" მშვიდად იწვნენ ზღვის ზედაპირზე. ვერტმფრინავის პილოტმა ივან ჯუსმა შეამჩნია უჩვეულო „ცხოველი" და დაეშვა 30 მეტრზე. დამკვირვებელმა თევდორე დოლჟენკომ ბინოკლის საშუალებით განსაზღვრა, რომ „ზღვის გველი" ღია-ყავისფერი ფერისაა, სხეულის სისქე ერთ მეტრს აღწევდა, შენიშნეს კონვულსიური მოძრაობანი.

საკდესის კორესპონდენტმა ა. პრესნიაკოვმა საბჭოთა კავშირის ზღვის თევზის მეურნეობისა და ოკეანოგრაფიის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის უფროს მეცნიერ თანამშრომელს ბ. ა. ზენკოვიჩს სთხოვა განემარტა ეს ცნობა.

—მსოფლიო ოკეანის ცხოველთა სამყაროში ჯერ კიდევ ბევრი საიდუმლოებაა, — თქვა მეცნიერმა. — გამოცნობილი არ არის მეზღვაურების მიერ შემჩნეული, ოკეანის დიდი სიღრმეებიდან ამოტივტივებული უცნაური ზღვის ცხოველები. რა შეიძლება ითქვას დაკვირვების ახალ ფაქტზე? უფოტოსურათოდ ძნელია გარკვევით რაიმეს თქმა. თუ გამოვრიცხავთ, რომ ეს იყო ჯერ კიდევ ადამიანისათვის უცნობი ზღვის ცხოველები, მაშინ შესაძლებელია ჩვენმა მფრინავებმა დაინახეს გიგანტური წყალმცენარეები. სამხრეთი ნახევარსფეროს ცივ წყლებში ისინი ხშირად მთელ კონებად დრეიფობენ. ასეთი წყალმცენარეების ცალკეული ბარდების სიგრძე 25-30 მეტრს აღწევს, სისქე კი — ათობით სანტიმეტრს.

სპეკულანტების „უნივერმაღები"

არ დავინდოთ ქორ-ვაჭრები!

— ქარვი კაფელი გაქვთ?

— არა, გეთაყვა! — თავაზიანად მიუგო გამყიდველმა მომსვლელს.

— ონკანი?

— არც ეგა!

დაღონებულმა მყიდველმა ნაღვლიანად დატოვა ვაჟა-ფშაველას პროსპექტზე მოთავსებული „სანტექნიკის" მაღაზია. გამყიდველი სერგო კანეციანი მეტისმეტად გულთბილი, ყურადღებიანი გამოდგა. ფეხაჩქარებით, მოღიმარი თვალებით ამოუდგა გვერდში „მუშტარს". — სანდო კაცი ხართ, გეტყობათ. თუ ძალიან გსურთ, ჩემი თავი გენაცვალოთ — ყველაფერი უცხოური მაქვს, მოგართმევთ, რამდენიც გინდათ და როცა გინდათ.

მაღაზიიდან გამყიდველი და მყიდველი გოგოლის ქუჩაზე მდებარე № 24 სახლისკენ გაემართნენ. იქ ს. კანეციანს თავის ბინაში რა გინდა, სულო და გულო, რომ არა ჰქონდა — ჩეხური კაფელის გორები, ონკანები... ცნობილი გახდა ისიც, რომ ერთ კვადრატულ მეტრ ჩეხურ კაფელში, რომლის ღირებულებაც შვიდი მანეთია, ქორვაჭარი ზედმეტს — თხუთმეტ მანეთს აზდევინებდა.

ალბათ მკითხველი იტყვის: მაღაზიაში მის მეტი არავინ იყოო? არიან, როგორ არ არიან! და საქმეც სწორედ ეგ არის.

...მერი თარხანოვ-ნუბაროვა მლეთის ქუჩის მცხოვრებია. ხშირად უთქვამს:

— ახლა ის მაკლია, სადმე სამსახურში დავჯდე, თვალები ამოვიღამო და ხელფასს ვუყურო. მარტო ქალის ერთი უცხოური პალტო „ირისი" იმდენს მომცემს, რომ მთელი თვე მეყოფა.

თბილისის მილიციის ორგანოებმა მის სახლში „უნივერმაღი" აღმოაჩინეს: ათობით ქალის უცხოური პალტოები, ბევრი ძვირფასი საცვლები...

მ. თარხანოვ-ნუბაროვა წინათ აფერისტობისათვის გაასამართლეს, მაგრამ, როგორც ჩანს, ჭკუა მაინც ვერ ისწავლა.

გაიდარ ალიევი და მისი მეუღლე სიმხა ცხოვრობენ ივანიძის ქუჩა № 1/16 სახლში. მართალია, ორივე ხანშიშესული არიან, მაგრამ ნაცადი ხელობისათვის თავი მაინც არ დაუნებებიათ. თითქმის ოცდაათი ათასი მანეთის დიდი მოთხოვნილების ძვირფასი სამრეწველო საქონელი ჰქონდათ სახლში დაწყობილი.

— დედიკო, ეს პალტო მინდა! — ემუდარებოდა ქალიშვილი სპეკულანტებთან მისულ მშობელს.

— აირჩიეთ, რომელიც მოგეწონებათ. მე შენ გეტყვი, რომელიმე უნივერმაღში გაჩვენებენ ასეთებს! იქ მალავენ, მე კი თქვენთვისა ვარ! — ამბობდა დოინჯშემოყრილი გაიდარ ალიევი.

— მართალს გეუბნებათ ჩემი მეუღლე, კვერს დაჰკრავდა სიმხა.

ასარჩევი და სასყიდელი მართლაც ბევრი ჰქონდა მისულს. ხუმრობა საქმე ხომ არ არის, მარტო მილიციის წარმომადგენელთა მისვლისას ამ სპეკულანტებს თითქმის ოცდაათი ათასი მანეთის სწრაფად გასაყიდი დეფიციტური სამრეწველო საქონელი აღმოაჩნდათ.



არც ავტომანქანების მფლობელთა გაზრდილ მოთხოვნილებებს ივიწყებენ თაღლითები. ლოტკინის დასახლებაში მცხოვრებ მ. ს. ლელაშვილს ოთხი ვოლგის სამყოფი ნაწილები ჩამოართვეს.

ნათელა ლომთაძე, რომელიც კალინინის მოედანზე (№ 18) ცხოვრობს, მილიციის მუშაკებმა აეროდრომზე დააკავეს.

— რა მოხდა, რას მერჩით? ჩემთვის მინდა ეს ჭურჭელი.

როცა გაჩხრიკეს, მას 2.500 მანეთის ძვირფასი ვაზები, ბროლის ჭურჭელი აღმოაჩნდა. მასვე ხელზე ჰქონდა 50 ცალი ქვითარი, საიდანაც ჩანდა, რომ საკომისიო მაღაზიაში სარეალიზაციოდ აქვს ჩაბარებული დიდძალი ჭურჭელი.

ასეც ხდება: სპეკულანტი ყველა ხერხს ხმარობს, რომ სხვა მოატყუოს..

— სპეკულანტებისათვის ჩამორთმეული საქონლის გამოფენა, რომელიც თბილისის მილიციის სამმართველომ მოაწყო, — განაცხადა ჩვენთან საუბარში ქალაქ თბილისის მილიციის სამმართველოს უფროსის მოადგილემ პოლკოვნიკმა მ. ჯაფარიძემ, — იმაზე მეტყველებს, რომ ჯერ კიდევ არიან უქნარები, რომელთაც სურთ იცხოვრონ უშრომლად, მუქთახორულად.

საბჭოთა კანონიერება მკაცრად სჯის მათ, ვინც თაღლითობს, ალალი შრომის ადამიანთა მოტყუებას ცდილობს.

ა. გოცირიძე.

• • •

სურათზე: სპეკულანტები მ. თარხანოვა-ნუბაროვასა (ზედით) და გ. ალიევისათვის (ქვედით) ჩამორთმეული სამრეწველო საქონელი თბილისის მილიციის სამმართველოში მოწყობილ გამოფენაზე.

საჭადრაკო გზაჯვარედინებზე

მალიორკა (ესპანეთი), დანიელი გროსმაისტერი **ბენტ ლარსენი** ლიდერი გახდა აქ მიმდინარე საერთაშორისო ტურნირში. მას აქვს 6 ქულა შვიდ შესაძლებელში. მეორე და მესამე ადგილებზე არიან **ვიქტორ კორჩნოი** — 5 ქულა და **ბორის სპასკი** — 4,5 ქულა.

მეშვიდე ტურში **ლარსენმა** 41-ე სვლაზე მოუგო **ანტონიო მედინას** (ესპანეთი). ხუთსაათიანი ბრძოლის შემდეგ დაუმთავრებელი დარჩა **სპასკი-პალ ბენკოს** (ამერიკის შეერთებული შტატები) და **კორჩნოი-ალექსანდრე მატანოვიჩის** (იუგოსლავია) შეხვედრები. გადაიდო აგრეთვე **სვეტოზარ გლიგორიჩთან** (იუგოსლავია) **ტიგრან პეტროსიანის** პარტია. მსოფლიო ჩემპიონს ჯერჯერობით 3,5 ქულა აქვს.

ბერლინი. გამოჩენილი გერმანელი მოჭადრაკის **ე. ლასკერის** მემორიალზე ახლა ლიდერობს საბჭოთა გროსმაისტერი **დავით ბრონშტეინი**, რომელმაც 8 ქულა მოაგროვა.

მე-11 ტურში **ბრონშტეინმა** მოუგო **არტურ ჰეინგსს** (გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა). მეორე ადგილზეა **ვოლფგანგ ულმანი** (გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა) — 7,5 ქულა და ერთი გადადებული პარტია. მესამე ადგილი უკავია საბჭოთა გროსმაისტერ **ევგენი კასიუკოვს** — 7,5 ქულა. **ალექსი სუეტინი** (სსრ კავშირი) დამარცხდა **დრაგოლუბ მინიჩთან** (იუგოსლავია) პარტიაში, და ახლა 7 ქულით მეოთხე ადგილზეა.

ერთმა გოლმა გადაწყვიტა

საქართველოს პირველობა წარმატებით დაამთავრა თბილისის არმიის სასპორტო კლუბის ფეხბურთელთა გუნდმა. ეს კოლექტივი დიდხანს ინარჩუნებდა ლიდერობას და ჩემპიონიც გახდა. ამიტომ არმიელ ფეხბურთელთა და საქართველოს ჭაბუკთა ნაკრების კვირის მატჩი თბილისის „დინამოს" სტადიონზე ინტერესს როდი იყო მოკლებული.

პირველ ტაიმში მეტოქეებს ბურთი არ გაუტანიათ. მეორე ნახევარში არმიელმა ფეხბურთელებმა შეძლეს მეტოქის კარის აღება და გაიმარჯვეს ანგარიშით 1:0.

რადიო

4 დეკემბერი

პირველი პროგრამით

06.05 — უკანასკნელი ცნობები, 06.35 — ქართული ხალხური სიმღერები, 06.50 — „სოფლის დილა", 07.30 — დილის კონცერტი, 09.30 — ქართული რესპუბლიკური გაზეთების მიმოხილვა, 09.50 — რუსული რესპუბლიკური გაზეთების მიმოხილვა, 11.30 — უკანასკნელი ცნობები, 11.45 — სიმღერები მ. შილდელის შესრულებით, 12.30 — ახალგაზრდობისათვის. ციკლიდან „მოგითხრობთ თქვენს თანატოლებზე", 12.45 — ნაწყვეტები ალიაბიევის ოპერა „მთვარიანი ღამიდან", 15.30 — „მეგობრების ხმები". გადაცემა სოციალისტური ქვეყნებიდან (მოსკოვი), 17.00—უკანასკნელი ცნობები, 17.30 — მოსწავლეთათვის. „თქვენი თხოვნით, მეგობრებო!", 18.00 — უკანასკნელი ცნობები, 18.10 — ქართული ხალხური სიმღერები, 18.30 — რესპუბლიკური ცნობები რუსულ ენაზე, 18.45 — სცენა მუსორგსკის ოპერა „სალამბოდან", 19.00 — საუბარი „ეკონომიური რეფორმა და სამრეწველო საწარმოთა პარტიული ორგანიზაციები", 19.15 — ვალსები, 19.30 — უკანასკნელი ცნობები, 20.20 — საერთაშორისო კომენტარი (მოსკოვი), 20.30 — რადიოჟურნალი „თბილისი-ბაქო-ერევანი", 21.00 — „ძილისპირული", 21.10 — ს. რახმანინოვი. მეორე კონცერტი ფორტეპიანოსა და ორკესტრისათვის, 21.45 — საერთაშორისო დღიური (მოსკოვი), 22.00 — „ახალი წიგნები", 22.50 — მენდელსონი. ნოქტიურნი საორკესტრო სიუიტიდან „ზაფხულის ღამის სიზმარი", 23.30 — საბჭოთა კომპოზიტორების სიმღერები, 23.55 — უკანასკნელი ცნობები.

ტელევიზია

3 დეკემბერი

11.00 — გადაცემათა პროგრამა, 11.05 — სკოლამდელთათვის. „ივარჯიშეთ ჩვენთან ერთად", 11.15 — გადაცემა „რიონის ხეობაში" (2 დეკემბრის გადაცემის განმეორება), 11.50 — სატელევიზიო მხატვრული ფილმი „უცნობი ქალი", 18.00 — გადაცემათა პროგრამა, 18,05 — ახალი ამბები, 18.10 — კინონარკვევი, 18.20 — განცხადებები, 18.25 — „ყურადღება, ვიღებთ!", 18.50 — „ჩვენი კინოდარბაზი", 19.10 — გადაცემა „ჯავახეთის მიწაზე", 19.50 — ქართველ კომპოზიტორთა კამერული ნაწარმოებები, 20.10 — კინონარკვევი, 20.20 — გადაცემა „ზესტაფონელი მუშკეტერები", 20.40 — „მოამბე" — საინფორმაციო პროგრამა, 21.05 — საერთაშორისო ტურნირი ჰოკეიში. სსრკ I — აშშ (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.00 — მხატვრული ფილმი „აღმოსავლეთის დერეფანი".

რა ვნახოთ, რა მოვისმინოთ

თეატრები

3 დეკემბერი

ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური — სევილიელი დალაქი, **ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის** — სიმღერა ტყეში, **რუსთაველის სახელმწიფო დრამატული** — მთაწმინდის მთვარე (მე-9 აბონ. მე-10 წარმოდგენა), **თოჯინების ქართული** — ფიფქიას სკოლა (დღის 11 ს. და 1 ს.), **კონსერვატორიის დიდი დარბაზი** — საფორტეპიანო მუსიკის საღამო ვ. სარქისიანის შესრულებით, **რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური** — მღერის რადმილა კარაკლაიჩი.

რედაქტორი
დ. მჭედლიშვილი.

კომუნისტი

თბილისი, ლენინის 14, რედაქტორის მოადგილეების — 99-93-08, 99-03-09, პ/მგ. მდივნის — 99-72-80, სამდივნოსი — 99-68-10, განყოფილებებისა: პარტიული — 99-87-61, პროპაგანდის — 93-22-98, მრეწველობის — 93-20-34, სოფლის მეურნეობის — 99-52-46, საბჭოთა მშენებლობის — 93-18-70, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 93-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების — 99-55-01, ინფორმაციის — 93-16-90, წერილების 99-73-24, ილუსტრაციის — 93-28-54, განცხადებების — 93-93-96.

ჩვენი მისამართი და ტელეფონები

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66443 შეკ. 12068 საქ. კპ. ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. 14.